**სახალხო განათლება+**

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
ილია ჭავჭავაძე

● №16 (4591) ● 25 დეკემბერი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

## ბედნიერი იყოს შობა-ახალი წელი – 2020!

### მეგზური – რუსთავის მე-15 საჯარო სკოლა

# აკეთებენ იმას, რაც ყველაზე უკეთ უწყიან



ძნებედობის გამო, თბილისიდან ახლო-მახლო გასვლაც გვიჭირს და მით უფრო სასიამოვნოა, როცა თუნდაც აგერ, „ყურისძირში“ – რუსთავში ჩასულს ისეთი სკოლა დაგვხვდა, მე-15 საჯარო სკოლა რომ არის.

სკოლა გარეგნულადაც ავ თვალს არ ენახვება – იგი „ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა“ განაახლა და ყოველმხრივ აღჭურვა კიდეც – და „შინაგანადაც“ შეესატყვისება სწავლების უმაღლეს, თანამედროვე სტანდარტებს.

დირექტორმა, ქალბატონმა **ბელა მარტიაშვილმა** ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა; შემდეგ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში გაიარა პედაგოგთა გადამზადების ერთწლიანი კურსი და თბილისის მე 12-ე საჯარო სკოლაში დაიწყო მუშაობა დაწყებითი კლასების მასწავლებლად; მერე კი იყო დირექტორთა კონკურსი, 20 %-ში დამსახურებული ადგილი და – მე-15 სკოლა.

**ინფორმაცია განსჯისათვის: 2007 წელს, როცა ქალბატონი ბელა ამ სკოლას ჩაუდგა სათავეში, სკოლა 40 პირველკლასელზე მეტს ვერ იღებდა. უფრო მეტი მოსწავლე ამთავრებდა სასწავლებელს, ვიდრე შედიოდა. ანუ გადინება შედინებას აღემატებოდა და ასე სკოლა თანდათან, შესაძლოა, დაცლილიყო კიდეც. ახლა მე-15 სკოლა ყოველწლიურად 4 პირველ კლასში 100-მდე პატარას იღებს (მსურველი მეტია) და მთლიანად 850 აღსაზრდელი ჰყავს...**

თუ ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები, სხეულები განიზიდებიან, ცხოვრებაში ერთი სულისკვეთებით, მრწამსით აღსავსე პიროვნებები ხვდებიან ხოლმე ურთიერთს და ერთავედ ილვწიან: დირექტორის მოადგილემ, ქალბატონმა **თამილა გამდლიშვილმა** სკოლის ყველა საფეხური გაიარა (თბილისის 159-ე საჯარო სკოლის დირექტორიც გახლდათ), ანუ კარგად იცის სკოლა, ყოველი ნიუანსი და ამ ცოდნითა და დიდი შემართებით წარმართავს მუშაობას.

დირექტრსა და მოადგილეს მხარში სკოლის 51-ვე პედაგოგი უდგას, რომელთაგანაც 2 – წამყვანი, 39 – უფროსი და 10 პრაქტიკოსი მასწავლებელია.

მე-15 სკოლის მთელი კოლექტივი ერთსულ და ერთხორც შედუღაბებული იღვწის სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეკეთილი თაობების აღსაზრდელად.

და ეს რომ სწორედ ასეა, ახლავე დავაკონკრეტებ. ოღონდ, მასალის დიდი სიუხვის გამო, სკოლის მიღწევების, ყმაწვილების თვალსაწიერის გასაფართოებლად, მათი პატრიოტული აღზრდისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებისთვის გამიზნული მრავალი აქტივობისა თუ ღონისძიების ლამის თეზისურად ჩამოთვლა მომიწევს.

წინა სასწავლო წელს სკოლას 2-2 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი ჰყავდა. იყოს ცოტა, მაგრამ ნაღდი. სკოლისთვის უმთავრესი ხარისხია და არა რაოდენობა. საბაზო საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის, 2 მოსწავლეს, პროგრამა **„ჩემი პირველი კომპიუტერის“** ფარგლებში, კომპიუტერები გადაეცა.

სასწავლო წლის დასაწყისშივე შემუშავდა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეთანხმდა სამეურვე საბჭოსთან და დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს მიერ. იგი მოსწავლის შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინებით შემუშავდა. სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ყველა ცვლილება აისახა სკოლის სასწავლო გეგმაში.





2018 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობდა სკოლის 82 მოსწავლე.

გასული სასწავლო წლიდან წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს განათლების რეფორმის მთავარი საპილოტე პროექტი **„ახალი სკოლის მოდელი“**, რომლის ფარგლებშიც გადამზადდნენ დაწყებითი კლასების მასწავლებლები; წარმატებით ინერგება ციფრული სწავლება; განხორციელდა სასკოლო პროექტები: **„არა – ბულინგს“** და **„მშობელთა ჩართულობა“.** ბულინგის თემაზე ნაჩვენები და განხილული იყო სათანადო შინაარსის ფილმები, დამზადდა ბუკლეტები. სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბმა **„მე – აქტიური მოქალაქე“** დადგა საინტერესო პერფონანსი **„არა – ბულინგს!“** პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მშობლები. პროექტ **„მშობელთა ჩართულობის“** ფარგლებში, მშობლების მონაწილეობით ჩატარდა ერთობლივი გაკვეთილები სხვადასხვა თემაზე. განსაკუთრებით სახალისო აღმოჩნდა მშობელთა ჩართულობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებაში.

სკოლა ჩართული იყო პროექტში **„ციფრული სკოლა – საქართველოს“** მხარდამჭერთა 5-კაციანი ჯგუფით. მისმა წევრებმა გაიარეს ტრეინინგები და აქტიურად მუშაობდნენ ციფრული ტექნოლოგიების სასკოლო სივრცეში დასანერგად. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევები, შეიქმნა ბლოგი, ვიდეოკლიპი და პოსტერი. გაწეული მუშაობის შესახებ ჯგუფის წევრებმა პრეზენტაცია გამართეს ბათუმის უნივერსიტეტში შემაჯამებელ კონფერენციაზე.



აღსანიშნავია სამოქალაქო განათლების პედაგოგ **ლია ღუღუნიშვილის** მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი **„მწვანე სკოლა და ჯანსაღი ტრანსპორტი – ეს ჩვენი არჩევანია“,** რომელიც აიპ **„ორბელიანი და საქართველოს“** სოლიდური გრანტის ფარგლებში ქალაქ რუსთავის მერიისა და შვედეთის მთავრობის დაფინანსებით განხორციელდა. სკოლაში დაირგა პავლონის 130 ნერგი და დამონტაჟდა ველოპარკინგი. სკოლას სტუმრობდნენ ქალაქის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები, ჟურნალისტები, აიპ „ორბელიანი და საქართველოს“ წარმომადგენლები. ღონისძიება გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით.

კონრად ადენაუერის ფონდის, კონსულტანციისა და ტრეინინგის ცენტრის (CTC) და პოლონეთის რობერტ შუმანის ფონდის მხარდაჭერით, 6 საჯარო სკოლაში საფუძველი ჩაეყარა საპილოტე პროექტს „ევროპული კლუბები საქართველოში“. სკოლაში შეიქმნა ევროკლუბი „მომავლის თაობა – ევროპისათვის“. მისი მიზანი მოსწავლეებისთვის ევროპული ღირებულებების, იდეების გაცნობა, ადამიანის უფლებების დაცვა, აქტიური მოქალაქისა და ლიდერის უნარების ჩამოყალიბებაა.

პროექტის გახსნა აღინიშნა საქართველოს პარლამენტში, სადაც მიიწვიეს მე-15 სკოლის მოსწავლეები, დირექტორი და კლუბის კურატორები, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები: **ლია ღუღუნიშვილი** და **მარიამ ოქრიაშვილი.**

კლუბის პრეზიდენტად არჩეულია მეათეკლასელი **თემო წიგნაძე.**

პროექტის ფარგლებში, კონრად ადენაუერის ფონდის საქართველოს ოფისის დირექტორი **ტომას შრაპერი** და გერმანიის ელჩი **ჰუბერტ ქნირში** ნოემბერში ესტუმრნენ სკოლას, ისაუბრეს ქართულ-გერმანულ ურთიერთობებზე და უპასუხეს მოსწავლეთა შეკითხვებს.

მესამე წელია წარმატებით ხორციელდება გერმანული საერთაშორისო პროექტი „U18“. ამ პროექტის რეგიონალური კოორდინატორია სამოქალაქო განათლების პედაგოგი **ლია ღუღუნიშვილი.** მისივე კურატორობით მიმდიარეობდა ევროკავშირის დაფინანსებული პროექტი **„მშვიდობიანი კულტურის კვალდაკვალ“,** რომელშიც ჩართულნი იყვნენ მეცხრე კლასის მოსწავლეები. საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული პროქტით გათვალისწინებულ აქტივობებში. იწვევდნენ ექსპერტებს, მაგალითად **პავლე თედიაშვილსა** და **ლაშა ხუციშვილს.**

სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად, მოსწავლეებმა, პედაგოგ **მარიამ ოქრიაშვილის** ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ლექცია-სემნარებსა და იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, ხოლო Xა კლასის მოსწავლეებმა **(შალვა ფოფხაძე, ანი ჩიჩილაძე, მარიამ იობაშვილი, ლუკა რამიშვილი, დავით გიორგაძე, ლექსო გურასპიშვილი)**, ქვემო ქართლის პროკურატურის ეგიდით წარმართულ პროექტში (ბულინგის თემაზე), წარადგინეს საინტერესო ვიდეოფილმი. ამავე მოსწავლეებმა, ისტორიის პედაგოგ **ზეინაბ გრიგალაშვილის** ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნული არქივის ორგანიზებულ პროექტში **„საქართ-**

გაგრძელება მე-2 გვ.



### გილოცავთ!

**გილოცავ!** გილოცავ! ახალ წელს გილოცავ.
ვისაც კი სამშობლო გიყვარს...
გელა ხარ! თინა ხარ! შოთა ხარ! ცირა ხარ!
ეს სულერთია — ვინ ხარ.

ახალი წელია...თოვლიც გვესალმება ციდან...
— ცრემლები?! — ცრემლებზე — ბოდიში!
— ღიმილი?! — ღიმილი — რამდენიც გინდა...

ბავშვებო! თქვენსავით მეც ვიყავ მოსწავლე...
მე დღესაც არ ვსწავლობ განა?!
ამიტომ ერთმანეთს, ამიტომ ერთმანეთს
ვუსურვოთ ხუთებზე სწავლა...

გვიყვარდეს სამშობლო, სიმართლე გვიყვარდეს,
გვიყვარდეს, გვიყვარდეს წიგნი...
რაც უნდა ისურვო, რაც უნდა ინატრო, —
ესაა - ყველაზე დიდი.

მუხრან მაჭავარიანი



**მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!**

*89-ე სკოლა ევროსტანდარტებს უმიზნებს*

# სიახლეთა ფრთაშესხმა მათი საქმიანობის წესია



**ჩვენი** საუკუნის დასაწყისში მისასალმებელ ინიციატივას დაედო სათავე: იუბილარ სკოლებს თავიანთი ისტორია-მატიანე შეედგინათ და წიგნების ან ჟურნალების სახით გამოეცათ. ბევრმა სკოლამ აიტაცა ეს სიახლე. მაგალითად, განათლების სამინისტროს მაშინდელმა მთავარმა სპეციალისტმა **ჰამლეტ ჩხენკელმა** და სკოლის დირექტორმა **რომან მოსეშვილმა** მაღალპროფესიულ დონეზე გამოსცეს 300 გვერდიანი კრებული: **„დედაქალაქის მეთერთმეტე - გუშინ, დღეს... რა იქნება ხვალ?“** (2005 წელი). ასეთ წიგნს იმსახურებს თბილისის სახელოვანი **89-ე საჯარო სკოლა**. თუ - რატომ, ქვეტექსტი გასაგებია.

სკოლა დღეს დგას ევროსტანდარტების სწორ გზაზე. აქ ნოვაციების განმახორციელებელი, მაღალ შედეგებზე ორიენტირებული ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ.

სკოლას უნარიანად უძღვება მაღალპროფესიონალი, შემოქმედი დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი **მიმოზა ტყებუჩავა,** რომელსაც მხარს უმშვენებენ გამოცდილი მოადგილე **როზმარ კირთაძე** და ადმინისტრაციული მუშაკები.

ზოგად მსჯელობას კონკრეტიკა სჯობს. მოკლედ მოგითხრობთ გაკეთებულ და გასაკეთებელ საქმეებზე.

2019-2020 სასწავლო წელი დაიწყო ორგანიზებულად, გასულ სასწავლო წელს გაწეული მუშაობის ანალიზისა და სასწავლო პროცესის მონაწილეთა დაკვეთის გათვალისწინებით შემუშავებული და პედაგოგიური საბჭოს მიერ განხილულია და სამეურვო საბჭოს მიერ დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმა.

სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობაში წლებია პრიორიტეტულია დაგეგმარებასა და საქმიანობის წარმართვაში სასწავლო პროცესის მონაწილეთა ფართო სპექტრის ჩართვა. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მოხდა სკოლის მისიის, პრიორიტეტების განსაზღვრა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულის, თანამშრომლის ფუნქციები, უფლება-მოვალეობები გაწერილია, ყოველ აქტივობას საჯარო განხილვა უძღვის წინ;

სკოლის დირექტორი გახლავთ განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის დედაუნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მრავალი გამოკვლევისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, აქვს მინიჭებული **მენტორი** მასწავლებლის წოდება. ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ერთადერთი მენტორ მასწავლებელია სკოლის დირექტორებს შორის. ასწავლის მათემატიკას მე-11 კლასებს წარმატებულად. არის სკოლის შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი და მასწავლებელთა ტრენერი მათემატიკის სწავლების საკითხებზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით არაერთი კვლევა ჩატარდა სკოლის პრობლემებზე. დირექტორის მოადგილე **როზმარ კირთაძე** უფროსი მაწავლებელია. მას მალე მიენიჭება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ხარისხის მართვის მენეჯერი **რეზო ნინუა** 4 ათეული წელია სკოლაში მოღვაწეობს იყო სკოლის დირექტორი, არის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი;

ნაყოფიერად მუშაობენ საგნობრივი კათედრები: რომელსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი და მაღალი სტატუსის მქონე პედაგოგები. ესენია: ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა ხემძღვანელი **ციცინო წიკლაური**; მათემატიკისა - **თამარ ფიროსმანიშვილი**; საზოგადოებრივ მეცნიერებათა - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი წამყვანი მასწავლებელი **ნანა სოლოღაშვილი;** საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა- **ელზა ნინოშვილი;** უცხო ენებისა - **ქეთევან ბაიდოშვილი;** ესთეტიკის და სპორტისა - **ქეთევან ლეჟავა;** დაწყებითი კლასებისა - **ეკატერინე ჯავახიშვილი;** უწყვეტი განვითარება და პროფესიული ზრდა ითვალისწინებს მასწავლებლის საქმიანობის მონიტორინგს, გაანალიზებას, მონაცემებზე დაფუძნებული და ამომწურავი უკუკავშირის მიწოდებას.

სკოლის მისიის მთავარი გზავნილი სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის კომფორტული და უსაფრთხო პირობების შექმნაა. სკოლაში უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისთვის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მუდმივი კონტროლი და დაცვა. მოსწავლეთა დისციპლინისა და უსაფრთხოების მართვა. კერძოდ, სასწავლო წლის დასაწყისში კვლავ მოხდა სასწავლო პროცესის მონაწილეთა ინფორმირება შინაგანაწესში გაწერილი მათი უფლებებისა და მოვალეობების, განხორციელებული ცვლილებების შესახებ. უზრუნველყოფილი იყო მასწავლებელთა მორიგეობა, მოსწავლეთა დაგვიანება-გაცდენის კონტროლი მშობლების დროული ინფორმირება.

სექტემბერში გადაიჭრა **4 პირველი კლასის** მიღებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები:

დაურიგდა სახელმძღვანელოები იაკობ გოგებაშვილის **„დედაენა“** და **„ბუკები“**

მოეწყო ეფექტური სწავლებისთვის ხელშემწყობი, ჰარმონიული,კომფორტული და უსაფრთხო საკლასო გარემო. თუმცა საჭიროებიდან,სასაწავლო მიზნებიდან გამომდინარე წლის განმავლობაში ზოგჯერ შეიძლება შეცვალოს იგი.

განსაზღვრულია კლასის საათის მიმართულებები, თემატიკა, გაწერილია სამოქმედო გეგმა და რეგულარულად, განრიგის მიხედვით (სამშაბათს ) ტარდება.

აწარმოებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს, შეფასებას, ჩანაწერებს, შედეგების დროულ და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას თითოეული მშობლისთვის ინდივიდუალურად პირადი შეხვედრისას,თუ სატელეფონო საუბრის დროს. სკოლამ შარშან ოქროს მედალზე დაამთავრა 3 მოსწავლემ.

მოღვაწეობენ კვალიფიციური მასწავლებლები

წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მქონეა 7 მასწავლებელი: **თამილა ბარამიძე, ქეთევან ცენტერაძე, ნანა სოლოღაშვილი, მაია ადეიშვილი, მელანო ანთაძე, ნანა პანუტინა**; მიმდინარე სასწავლო წელს უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა: **ქეთევან ბაიდოშვილს, მაია ტყაბლაძეს, ლია სოლოღაშვილს, ცირა ჯობავას, მანანა მაისურაძეს, ცირა ჯობავას, მანანა მაისურაძეს, ლიანა ძამაშვილს, ქეთევან ჯავახიშვილს, რუსუდან ბოჭორიშვილს, თათული ბოჭორიშვილს, ეკატერინე ხოხობაშვილს, ნანა აბულაძეს, ქეთევან ლეჟავას, ვაჟა ხუბეჟაშვილს, მერაბ გოგიას, მანანა წითაძეს, ირინე ჯაჯანიძეს;**

სკოლის ადმინისტრაციის საგნის მასწავლებლების მონაწილეობით სკოლაში ჩატარებული იქნა 12 პრაქტიკული კვლევა სხვადასხვა თემაზე,რომელიც ემსახურება პრობლემების გამოვლენის, მათი დაძლევის გზების შემუშავებასა და სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და დიდ წარმატებებს გისურვებთ, 89-ე საჯარო სკოლელებო!

ბორის კინდღელი

*მეკვლე – რუსთავის მე-15 საჯარო სკოლა*

# აკეთებენ იმას, რაც ყველაზე უკეთ უწყიან

პირველი გვერდიდან



ველოს პირველი რესპუბლიკა“** და გადაეცათ სერთიფიკატები. ნიკო ფიროსმანის გარდაცვალებიდან 100 წლის გამო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებულ ანიმაციური ვიდეორგოლების კონკურსში **„გაცოცხლებული სურათები“** მოსწავლეების (**მარიამ მიქაუტაძე, ნიკოლოზ ყიფშიძე, ლუკა გოგატიძე, მარიამ ქიმაძე, ანი კენჭაძე, ლიზი მეტრეველი, ანი ხაჩიძე**) შექმნილმა ანიმაციურმა ვიდეორგოლმა მესამე საპრიზო ადგილი დაიმსახურა (კლასის ხელმძღვანელი – **ნათელა მურჯიკნელი).**

გიორგი შავგულიძის სახელობის თეატრში ჩატარებული **„საქართველოს სასკოლო თეატრალური ფესტივალი 2019“**-ის გრანპრის მფლობელი გახდა სკოლასთან არსებული თეატრალური სტუდია სექტაკლით **„ჰელადოს“ (ჯულიეტა ოშხერელი).** ქართული სიმღერის ფესტივალში **„სხვა საქართველო სად არის?“** – მოსწავლე **დემეტრე მურჯიკნელმა** I ადგილი დაიმსახურა (**თამარ მამისაშვილი**). სკოლა აქტიუად თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მეთერთმეტე კლასელები (**მარინე ბერუაშვილი)** იყვნენ უნივერსიტეტში, ხოლო სკოლის სააქტო დარბაზში პროფესორმა, ქალბატონმა **ნინო პოპიაშვილმა** წაიკითხა ლექცია თემაზე **„ქართული ენა და მისი ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში“.** ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზების მიზნით, გაიმართა შიდასასკოლო ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. აღინიშნა აუტიზმისა და დაუნის სინდრომით დაავადებულთა საერთაშორისო დღეები, დედამიწის დღე, 9 აპრილი, 26 მაისი, დედაენის დღე და სხვა.

თუ წარმატებული დასაწყისი, ასეთივე დასასრულის მტკიცე საწინდარია, მაშინ წარმატებული დასასრულიც ასეთივე დასაწყისის წინაპირობა უნდა იყოს. სწორედ ასეა მე-15 სკოლაში. უკვე ტრადიციაა – დასრულებულ სასწავლო წელს ასევე წარმატებული, ან უკეთესი ახალი სასწავლო წელი ენაცვლება.

ამ სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლებს ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც კიდევ ერთხელ გააცნეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამრიგებლის მოვალეობები და სადამრიგებლო კლასებთან მუშაობის წესები.

კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიეს დისციპლინური კომიტეტი. მასში თანაბარი რაოდენობით შედიან მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები.

სკოლის ერთერთი პრიორიტეტი სასწავლო პროცესის **კომფორტულობა** და **უსაფრთხო** პირობების შექმნაა. უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისთვის **სანიტარულ-ჰიგიენური** ნორმების მუდმივი კონტროლი და დაცვა.

გრიფმინიჭებული სახლმძღვანელოების გარდა, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ლიტერატურას, ელექტრონულ რესურსებს, თვალსაჩინოებებს და ა. შ.

დიდი ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ სწავლებას. ამჟამად იდენტიფიცირებულია 12 სსსმ მოსწავლე. სასწავლო წლის დასაწყისშივე საგნის მასწავლებლებმა, სკოლის სპეციალურ მასწავლებლებთან ერთად, შეადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებშიც გაწერილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. სკოლის ისგ ჯგუფი თვეში ერთხელ ხვდება სსსმ მოსწავლეთა მშობლებს და აანალიზებს შედეგებს. რესურსოთახში ინახება სსსმ მოსწავლეთა პორტფოლიოები, რომლებშიც თავმოყრილია მათი ნამუშევრები. რესურსოთახი აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებითა (პერსონალური კომპიუტერით, პრინტერით და ა. შ.), და ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსებით.







კლასების დამრიგებლებმა სასწავლო წლის დასაწყისშივე გააცნეს მშობლებს სასწავლო გეგმის ძირითადი ასპექტები, შინაგანაწესი, მოსწავლეთა შეფასების სისტემა და სასკოლო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. დამრიგებელი თითოეულ მშობელს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას შვილის აკადემიურ მიღწევებსა და დისციპლინაზე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საათობრივი ბადის შესაბამისად. თითოეული მასწავლებლის მიერ შემუშავებული პროგრამა ეროვნული სასწავლო გეგმის შესატყვისია და მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს ითვალისწინებს.

გამართულად, მიზანმიმართულად და ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს 7-ვე საგნობრივი კათედრა და ეს მუშაობა ყველა პედაგოგს მოიცავს.

ეს სასწავლო წელი სკოლისთვის გამორჩეულად საპასუხისმგებლოა, რადგან იგი შვიდმა პრაქტიკოსმა პედაგოგმა ჯილდოთი დატოვა. თითოეული მათგანი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა და რთულია მათი ჩანაცვლების პროცესი უმტკივნეულოდ განხორციელდეს. თუმცა, დირექციის, კოლეგების თანადგომა მტკიცე საწინდარია, რომ „ახალმოსახლეები“ მალე შეერწყმიან მე-15 სკოლის შემოქმედებით, გამოცდილ კოლექტივს.

* * *

ვამთავრებ წერილს და გული მტკივა, რომ მე-15 სკოლის ძალზე ტევადი, მრავალმხრივი მუშაობის მწირად წარმოჩენა მოხერხდა. თქმულზე მეტი უთქმელი დარჩა. მაგრამ უმთავრესი მაინც სხვაა – ის, რაც მე-15 სკოლაში ყმაწვილების მაქსიმალურად სრულფასოვან პიროვნებებად, სამშობლოს მომავლის აღსაზრდელად კეთდება.

კონსტანტინე ბურბენიძე

გაიცანით გორის მე-7 საჯარო სკოლა!

# ძლიერი პედაგოგები და შემოქმედებითი დირექტორი - ეს ხომ გამარჯვების გარანტიაა





**გორში** გაზრდილ გენიოსს ეკუთვნის მარადისობის კანონივით უკვდავი ფორმულა: **„კადრები წყვეტენ ყველაფერს!“** ეს აქსიომა ერთი ერთზე მიესადაგება ქალაქის მე-7 სკოლას. რატომ? რატომ და, მაღალ პროფესიონალ მასწავლებლებს ერუდირებული, შემოქმედებითი დირექტორი **ნოდარ იარლანაშვილი** ნაყოფიერად უძღვება. მას მხარში ერთგულად უდგანან ასევე გამოცდილი მოადგილე **მზია ბერუაშვილი**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნინო ბერიძე** და დირექციის სხვა შრომისმოყვარე წევრები. ნუ დამძრახავთ ლირიკული გადახვევისთვის. ქალბატონი მზია თბილისის 139-ე სკოლაში, სადაც ქართულს ვასწავლიდი, წარჩინებული მოსწავლე იყო და მეამაყება, რომ იგი პედკოლექტივის ღირსეული წევრია.

მიმდინარე სასწავლო წელს ბევრი საინტერესო ინიციატივა და სიახლე წამოვიდა განათლების სამინისტროდან. გორის მეშვიდესკოლელები ყოველთვის იყვნენ სიახლეებსა და მაღალ შედეგებზე ორიენტირებულნი და არც ახლა დაუდებენ ვინმეს ტოლს. **მიხეილ ჯავახიშვილი** ხშირად იმეორებდა, კარგი დასაწყისი ნახევარ გამარჯვებას უდრისო და სასწავლო წელი მართლაც კარგად დაიწყეს.

ზოგად მსჯელობას კონკრეტიკა, როგორც თვალსაჩინოება, ყოველთვის სჯობს. ჰოდა, ჩვენც ფაქტებით ვიმსჯელოთ.

წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა 9 პედაგოგს. ესენი არიან: **ნოდარ იარლანაშვილი, მზია ბერუაშვილი, მაია მიხანაშვილი, ქეთევან ცერაძე, ნინო ნონიკაშვილი, მერი ბეჟუაშვილი, მაია მაისურაძე, მზია აბულაძე, ნონა გამსახურდაშვილი.**

სკოლას აქვს ორი კომპიუტერული ლაბორატორია (28 კომპიუტერით) უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, ინტერნეტით და გათბობის სისტემით. აქვს ინვენტარით მოწყობილი სამედიცინო ოთახი. მოსწავლეებისათვის მოწყობილია რესურს ოთახი და ადაპტირებული სველი წერტილი. ჰყავთ კვალიფიციური სპეც მასწავლებლები. სკოლაში მუშაობს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი. სკოლას წელს შეემატა **4 პირველი** კლასი 110 მოსწავლით.

9 საგნობრივი კათედრა სწავლების ხარისხის ამაღლებას ემსახურება. ნაყოფიერად მუშაობენ კათედრის ხელმძღვანელები: ქართული ენა-ლიტერატურისა **ეკატერინე ადეიშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა **ნანი ოთინაშვილი**, მათემატიკის **ელენე ფანქველაშვილი,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა **ლეილა ვარდანაშვილი**, ინგლისური ენისა **ხათუნა დოლიაშვილი**, რუსული ენისა **ვასილ იკონნიკოვი,** ესთეტიკური აღზრდისა **ეკატერინე ფურცელაძე**, სპორტისა **ოლეგ გორბუნოვი,** დაწყებითი კლასებისა **თამარ ბეთლემიშვილი.**

დამსახურებული ჯილდოთი გააცილეს ამაგდარი, ღვაწლმოსილი პედაგოგები. მიმდინარე სასწავლო წელს შვიდმა პენსიონერმა პედაგოგმა დატოვა სკოლა, დაარსებულ ვაკანტურ ადგილებზე კი მიიღეს სერთიფიცირებული პედაგოგები.

სკოლა მომზადებული შეხვდა ახალი 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებას, მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან სახელმძღვანელოებით, ხოლო პირველ კლასელებს პორტატული კომპიუტერები დაურიგდათ. სკოლაში შექმნილია ყველა პირობა სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის.

გასულ სასწავლო წელს სკოლას ჰყავდა 4 ოქროს **(თეიმურაზ ჩადუნელი, ვერიკო ფეზუაშვილი, ნიკოლოზ კაციტაძე, დავით ხარშილაძე)** და 1 ვერცხლის **(ქეთევან რევანდაშვილი)** მედალოსანი. **დავით ხარშილაძემ** მოიპოვა 100 %-იანი გრანტი. პროგრამის **„ჩემი პირველი კომპიუტერის“** ფარგლებში ჩვენი სკოლის 11 მოსწავლე დაჯილდოვდა პერსონალური კომპიუტერით.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულები სპორტულ ცხოვრებაში. აღწევენ წარმატებებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად. მოსწავლეთა დაკომპლექტებულმა გუნდებმა **მინი ფეხბურთში, ფრენბურთში** (გოგონებსა და ვაჟებს შორის) დაიკავეს საპრიზო ადგილები სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში გამართულ პირველობაზე (პედაგოგი **მერაბ მუზაშვილი).**

მეშვიდე საჯარო სკოლის გუნდი არის სასკოლო შემოქმედებითი ოლიმპიადის გამარჯვებული. სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ საგრანტო კონკურსებში და აღწევენ წარმატებებს.

სკოლის დირექცია მუდმივად ზრუნავს მოსწავლეებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, პედაგოგების პროფესიული განვითარებისათვის, სწავლებაში ნოვატორული მეთოდების დანერგვისათვის, საჭირო რესურსებით უზრუნველყოფისა და ბიბლიოთეკის ფონდის გამდიდრებისათვის. მოქმედებს წახალისების სისტემა სხვადასხვა კონკურსებში სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების წასახალისებლად.

ასე რომ, მეშვიდესკოლელებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. სასწავლო წლის ბოლოს ახალი წარმატებები გარანტირებულია. შობა-ახალ წელს გილოცავთ, კოლეგებო და მოსწავლეებო, მშვიდობას და ჯანმრთელობას გისურვებთ.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი





173-ე საჯარო სკოლა – ყველაზე დიდი და ძლიერი

# მიზანი – მეტი კონკურენტუნარიანი და წარმატებული მოსწავლე





**სამ** ათეულ წელზე მეტია, რაც გლდანის რაიონში, თბილისის ერთ-ერთი დიდკონტინგენტიანი, **ვახტანგ გზირიშვილის** სახელობის 173-ე საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, სადაც ამჟამად 2200-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. სკოლა ქმნის აღზრდისა და განათლების თანამედროვე სისტემას, რომელსაც წარმატებით უძღვება ადმინისტრაცია: სკოლის დირექტორი **ლია თუშური,** დირექტორის მოადგილეები – **მანანა გორგასლიძე**, **ბონდო დავითური** და **სალომე ბეკურაშვილი**.



**ლია თუშური** ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია. 1990 წლიდან არის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი. თავდაპირველად მუშაობდა **ვახტანგ როდონაიას** ხელმძღვანელობით შექმნილ ჯგუფში, შემდგომ კი **ნინო შარაშენიძესთან** და **მაია ინასარიძესთან** ერთად. ამავე დროს იყო არაქართულენოვანი სკოლის დაწყებითი კლასებისთვის ქართულის სახელმძღვანელოს ავტორი. ამჟამად სკოლებში, მისი ავტორობით, შესულია მე-7 კლასის ქართულის სახელმძღვანელო, რომელიც სიახლითა და მრავალი ნოვაციით გამოირჩევა.

სასწავლო პროცესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული უახლესი მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობს. საინტერესო პროექტების, შიდა სასკოლო კონფერენციებისა თუ ღონისძიებების რეკომენდაციების შემუშავება და წლიური გეგმის შედგენა საგნობრივ კათედრებზე ხორციელდება. სკოლაში ფუნქციონირებს 8 კათედრა: საზოგადოებრივი მეცნიერებების (ხელმძღვანელი – **ინეზა გაფრინდაშვილი)**, ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **მაკა მოწონელიძე),** სპორტის (ხელმძღვანელი – **ირინა გელაშვილი),** დაწყებითი კლასების (ხელმძღვანელი – **ხათუნა ღამბაშიძე),** მათემატიკის (ხელმძღვანელი – **მზია პატაშური),** უცხო ენების (ხელმძღვანელი – **ნატო ქვრივიშვილი)**, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ხელმძღვანელი – **ია ბენიძე),** საბუნებისმეტყველო (ხელმძღვანელი – **მაკა გეგეშიძე;** კათედრებზე კვალიფიციური კადრების სიმრავლეა, რამდენიმე დოქტორიც ჰყავთ – **მზია თამაზაშვილი, ირმა გურასპაშვილი, ნინო ვახვახიშვილი.**

მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, ის, რომ სკოლას პროფესიონალი პედაგოგიური კოლექტივი ჰყავს, თითოეული მათგანი მაღალი ხარისხისთვის ზრუნავს. ძალიან საინტერესო კუთხით არის გაშლილი კონკურსი კლასებს შორის. ეს არის სკოლის მიერ დანერგილი კვლევის ფორმა, სადაც კარგად ჩანს ხარისხობრივი მაჩვენებელი და სად არის საჭირო მის ასამაღლებლად მუშაობა. ისაზღვრება დონეები როგორც საგნების მიხედვით, ასევე კლასებისა და მასწავლებელთა ნამუშევრის მიხედვით. წელს ბევრ პედაგოგს აუმაღლდა სტატუსი, რაც სხვებისთვის სტიმულის მიმცემია. წამყვანი პედაგოგები არიან: **მადლენა ასლანიკაშვილი** (დაწყებითი კლასები), **მანანა გელაშვილი** და **ნინო ვახვახიშვილი** (ისტორია), **ირმა გურასპაშვილი, მზია თამაზაშვილი** და **ლია თუშური** (ქართული ენა და ლიტერატურა), **ნინო ნიქაცაძე, მზია პატაშური** და **თამილა ძმანაშვილი** (მათემატიკა).



ინოვაციური პედაგოგიური მეთოდებისა და მიდგომების დანერგვის გზით, წარმატებით უძღვებიან მოსწავლეთა საბაზისო უნარების განვითარებას, ლოგიკური, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების, სამყაროში მიმდინარე პროცესების აღქმისა და კვლევის, სპორტული, შრომითი თუ საგნობრივი უნარების ჩამოყალიბებას, უფროსი მასწავლებლები:

ქართული ენისა და ლიტერატურის – **ლელა აბუთიძე, ნინო გოგრიჭიანი, მანანა გორგასლიძე, ქეთევან დემეტრაშვილი, მაკა მოწონელიძე, სოფიო რაჟამაშვილი, თამარ სეფიაშვილი, ცისანა ქებაძე, მაია ყაზარაშვილი, თეონა ჯარიაშვილი;**

დაწყებითი კლასების – **ლიანა გელოვანი, ქეთევან გზირიშვილი, ნინო გიორგაძე, ნინო ზადიშვილი, თამარ თევდორაშვილი, მაია მამულაშვილი, ეკა მაღრაძე, მაია ნანავა, შორენა ოდიკაძე, მაია ხარატი, მარიკა ხურციძე;**

ისტორიის – **ელდერ არაბული, ინეზა გაფრინდაშვილი, ბონდო დავითური, ნათელა ზაალიშვილი, თეა თევდორაშვილი;** გეოგრაფიის – **ირმა ქურციკიძე, ლელა ჩანტლაძე;**

მათემატიკის – **ლია გელაძე, მედეა გვიდიანი, ნუნუ კოტორაშვილი, ელზა ჟამუტაშვილი, თამილა საძაგლიშვილი;**

ბიოლოგიის – **ხათუნა აქიაშვილი, ციური მგელაძე, მარიამ ძმანაშვილი;** ქიმიის – **ესმა გეგეშიძე, მაკა გეგეშიძე;** ფიზიკის – **მარინა სიბაშვილი;**

რუსული ენის – **თამარ ახალბედაშვილი, მაია ბუილლიშვილი, ალა გვარჯალაძე, ელისო კვიტატიანი, ლია ყაზარაშვილი;** ინგლისური ენის – **მარიამ გაფრინდაშვილი, ეკატერინე დემურაშვილი, მარიამ კერესელიძე, ნინო კობაიძე, ნატო ქვრივიშვილი, ციცინო ქუმელაშვილი;**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის – **ირინა გელაშვილი, დავით მენაბდიშვილი, ლია ტატანაშვილი, თამარ შალაშვილი;** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების – **ია ბენიძე, ევა ცალუღელაშვილი;** მუსიკის – **მაკა გელაშვილი, ეკა მჭედლიშვილი;** საკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების – **ირინე ყეინიშვილი.**

უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღებად წარდგენილები არიან – **ნინო გუგეშაშვილი** (ფიზიკური აღზრდა), **თამარ დედანაშვილი** (ისტორია) და **ასმათ მაღრაძე** (გეოგრაფია).





ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო მოთხოვნებს სწორად წარმართავენ პრაქტიკოსი პედაგოგები: დაწყებითი კლასების – **ნაილი ადუაშვილი, ნინო ამანათიძე, ირმა გოგოლაძე, ლენა გურიელიძე, მზია კორკოტაშვილი, თამარ მაისურაძე, თამარ ნოზაძე, ხათუნა ღამბაშიძე, ლალი ჩიკვილაძე, ნელი ცარიელაშვილი;** მათემატიკა – **ნათია ბარბაქაძე, ლიანა ფრიდონაშვილი;** ფიზიკური აღზრდა და სპორტი – **თემურ ბედიანიძე,** ინგლისური ენა – **ინგა გეგიაძე, მაკა დემურაშვილი, თეა ჟღენტი, ირა ჩხაიძე;** ქართული ენა და ლიტერატურა – **ნინო გობეჯიშვილი,** სამოქალაქო თავდაცვა – **ინგა გოგუაძე, მაია გოგუაძე;** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება – **მთვარისა თეგეტაშვილი;** ბუნებისმეტყველება – **ირმა კიკვაძე-როსტომაშვილი;** გეოგრაფია – **მარიამ ნოზაძე**; მუსიკა – **ნანა რობაქიძე, მაია შუბაშიშვილი, ნონა ჩომახიძე;** საგზაო ნიშნები – **დავით სახელაშვილი;**



პროფესიიდან ნებაყოფლობით გასვლის შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ჯილდოს 14 პედაგოგი დათანხმდა და სკოლას ახალი კადრები შეემატა. 2019-2020 სასწავლო წელს სკოლამ მიიღო 9 ახალი პედაგოგი, კერძოდ: 2-2 დაწყებითი საფეხურის, უცხოური ენისა (ინგლისური) და მათემატიკის; ასევე, მუსიკის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგები.

დირექტორის მოადგილე **მანანა გორგასლიძე** ფილოლოგია, სახელმძღვანელოს ავტორი და ღირსების ორდენოსანი. 30 წელზე მეტია განათლების სისტემაში მოღვაწეობს და ბევრი საამაყო თაობაც აღზარდა: **ჩვენი მიზანი მეტი ძლიერი და წარმატებული მოსწავლეა. აკადემიური მოსწრების მხრივ კარგი მონაცემები გვაქვს. იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, როცა სკოლას 24 ან 18 მედალოსანი ჰყავს და ჩვენი მოსწავლეები წარმატებულ უმაღლეს სასწავლებლებში სასურველ ადგილებს იკავებენ.**

სკოლაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატია, კოლექტივი შეკრული და მეგობრული, მშობლები აქტიურად არიან ჩართული სამუშაო პროცესში და მათი აზრი მნიშვნელოვანია. პედაგოგები თანამშრომლობენ მოსწავლეთა თვითმმართველობასთან (თავმჯდომარე **დავით შვანგირაძე**), ყველა მათგანი კი სკოლის შინაგანაწესს ემორჩილება.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ ოლიმპიადებში, რაიონულ, საქალაქო თუ სპორტულ ღონისძიებებში. სულ ახლახანს, **ბონდო დავითურის** ხელმძღვანელობით, რომელიც ასევე დირექტორის მოადგილე გახლავთ დაწყებით კლასებში, უკვე ტრადიციად ქცეული, შემოდგომის ზეიმი – მშობლებისა და მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა – გაიმართა.

ლია თუშური: **სასწავლო წლის ბოლოს, ახლებურად იქნება წარმოდგენილი შემაჯამებელი პროექტები. მოსწავლე თვითონ აირჩევს, რომელ საგანში და რა თემაზე სურს პროექტის მომზადება, რაც სწავლებას კიდევ უფრო დიფერენცირებულს გახდის და ფოკუსირებული იქნება კონკრეტული მოსწავლის სურვილებსა და შესაძლებლობაზე.**

სკოლაში საკუთარი პასუხისმგებლობა ყველას კარგად აქვს გათვითცნობიერებული. პედაგოგიური კოლექტივი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხისა და მოსწავლეთათვის სწორი მომავალი არჩევანის წინაპირობის შექმნაზე. ამ სკოლის ტერიტორია საკმაოდ დიდ სივრცეზეა, სასწავლო პროცესი 3 კორპუსში მიმდინარეობს. პრობლემებიც, რათქმაუნდა, არის და ყველაფერი ერთდროულად ვერ მოგვარდება, თუმცა სიახლეების ფონზე მოლოდინი ოპტიმისტურია.

ნათია გურგენიძე

**რედაქტორის მინაწერი:** რაოდენ სასიხარულოა, რომ ძლიერ პედაგოგიურ კოლექტივს ასევე შესაფერისი, გამოცდილი, ერუდირებული, შემოქმედი ხელმძღვანელი **ლია თუშური** უძღვება. ვისურვებდი ასეთი დირექტორები უფრო მომრავლებულიყვნენ. შობა-ახალ წელს გილოცავთ, კოლეგებო, ბედნიერებას და ახალ წარმატებებს გისურვებთ.

„საქმემან შენმან“

# როგორი სული ტრიალებს რუსთავის მე-2 საჯარო სკოლაში?



**ასტრონომებმა**, ზეცაში რომ ეძებენ ახალ-ახალ ვარსკვლავებს, პლანეტებს, ასტეროიდებსა თუ მეტეორიტებს, რუსთვის მე-2 საჯარო სკოლაში რომ შეიხედონ, უმალ აღმოაჩენენ 8 „ციცხალ ოქროს ვარსკვლავს“ – ასე მიაგო პატივი სკოლამ სხვადასხვა წლის მედალოსნებს.



იქვე, ფოიეში უზარმაზარ პანოზე რუსთაველი უკითხავს თამარს „ვეფხისტყაოსანს“, ხოლო დიდებულად სტილიზებულ ძეგლზე ბრძნული ნათქვამებია ამოკვეთილი.

ცხადია, ყოველივე ეს როგორ განწყობას უქმნის სტუმარსაც და მასპინძელსაც. ასეთივე განწყობა შემექმნა მეც, მაგრამ უკეთესი ის იყო, რომ მე-2 სკოლის მუშაობის მოკლედ გაცნობამაც კი ეს დიდებული განწყობა გამიძლიერა და პატივისცემა აღმიძრა სასწავლებლის მთელი კოლექტივის მიმართ, ვისი ცხოვრებისეული კრედოც მოსწავლეთა კეთილდღეობისათვის, მათი ჰარმონიული, უპირველესად, ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნული მენტალიტეტით აღსაზრდელად გაწეული ყოველდღიური შემოქმედებითი, ძალზე ტევადი მუხლჩაუხრელი შრომაა.

**ლალი ნაზღაიძე-ერქომაიშვილი:** „ჩვენი სკოლა პირველი ქართული სკოლაა რუსთავში და მისი თანატოლია. ამით ვამაყობთ და ეს ბევრსაც გვავალებს: ტრადიციულ სკოლაში თაობები აღიზარდნენ – პაპები და ბებიები, შვილები, შვილიშვილები... 600 ყმაწვილზე გათვლილ სკოლაში 1000-მდე მოსწავლე გვყავს. ყოველწლიურად სამ I კლასზე მეტს ვერ ვხსნით. არადა, მსურველი გაცილებით მეტია. შარშან 70 წლის იუბილეზე ეზოში რუსთაველის ბიუსტი გავხსენით და სკოლასაც მისი სახელი მიენიჭა. წლეულს კი დედაენის ძეგლი და იაკობ გოგებაშვილის კაბინეტი გაიხსნა.“

ქალბატონი ლალი მე-2 საჯარო სკოლის დირექტორია. მან 1981 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და 22-ე, 25-ე სკოლებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. შემდეგ 22-ე სკოლის დირექტორი გახლდათ. 2007 წლიდან კი მე-2 სკოლას უდგას სათავეში. არის ღირსების ორდენის კავალერი.

ქალბატონი ლალის „სხვა არჩევანი არ ჰქონდა“ – ოჯახური ტრადიციაა: მშობლები – დიდებული ფილოლოგები და ასეთივე დიდებული პედაგოგები. ესტაფეტა გაგრძელდა: ქალბატონი ლალის ქალიშვილი – **იამზე ერქომაიშვილი** ამ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი და ქალაქში ცნობილი ფილოლოგია.

მაშ, ქალბატონმა ლალიმ დიდებულად უწყის სკოლა, მისი ყოველი საფეხური გაიარა და ამიტომ არა ოდენ „კაპიტნის ხიდურიდან“ ხელმძღვანელობს მას, არამედ თავს, სრულიად სამართლიანად, მიიჩნევს, უპირველესად, პედაგოგად, აღმზრდელად, ვისაც კოლეგებზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია და ამ მისიის სრული შეგრძნებით მუშაობს კიდეც.

დირექტორს მხარში უდგანან, პედაგოგებთან შემოქმედებითად, კოლეგიალურად და მიზანმიმართულად მუშაობენ მოადგილეები, ქალბატონები: **ნატალია ლეკვეიშვილი** (პირველი მოადგილე) და **ნინო დარსალია.**



კარგიდან უკეთესის არჩევა შესაძლებელია, მაგრამ როგორ გინდა უკეთესისგან საუკეთესოები ამოარჩიო? მით უფრო, რომ სკოლის უამრავი აქტივობა თუ ღონისძიება, რაც მისი მუშაობის მრავალგვარობას ასახავს, სულ აღმატებით ხარისხისაა?! ახლა კიდევ – საგაზეთო სივრცე? ამიტომ ძალზე მოკლედ უნდა ჩამოვთვალო ყმაწვილების თვალსაწიერის გასაფართოებლად, მათი პატრიოტული აღზრდისათვის გამიზნული სკოლის მუშაობის ასპექტები, მაგრამ მანამდე აუცილებლად უნდა აღინიშნოს: სკოლაში ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანადგომის გარემო სუფევს. ხელმძღვანელობა ხედავს და აფასებს კიდეც ყოველი პედაგოგის ღვაწლს. ასეთი პედაგოგები არიან – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები 40-40 წელზე მეტი სტაჟით, ქალბატონები: **თამარ მამალაშვილი-მაისურაძე და ეთერ ხარბედია,** ბიოლოგი **რუსუდან აბაშიძე.** ისინი იმდენი წამოწყების, აქტივობის, პროექტის ორგანიზატორები არიან, რომ მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას.

სასწავლო პროცესი ყოველ მოსწავლეს მოიცავს. პედაგოგებს თითოეულ მათგანთან მიაქვთ ცოდნა, მაგრამ მჯობნის მჯობნი ნუ გამოგვილიოს ღმერთმა და სკოლას ყოველწლიურად 15-მდე მედალოსანი ჰყავს. წლეულსაც რეალური კანდიდატები არიან: **ოთარ კალანდაძე, თიკა კახიანი, ნატალია ლორია, მარიამ მაისურაძე, მარიამ ძინძიბაძე, მარიამ აბაშიძე, ქეთა ნატროშვილი, გურამ რეხვიაშვილი, ოთარ ფოფხაძე და მაია ოთინაშვილი.**






პირველი კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ: **დაჩი გრძელიძე, ანი მანდარია, ელენე მიქაძე, ანანო ნოზაძე, ანი შარიქაძე, მარიამ წიკლაური, აკაკი ქათამაძე, ტატო ღონღაძე, გიორგი ხაჩიძე, ნინი ენუქიძე, ნინი ფარულავა, ნინო გიგაური, გვანცა კუპრეიშვლი, პაატა ნანუაშვილი, ანა-მარია ქმოსტელი, ლილე შარიქაძე.**



შეპირებულს მივუბრუნდეთ – ძალზე მოკლედ სკოლის აქტივობებზე, პროექტებსა თუ ღონისძიებებზე: ყოველწლიური კონკურსი **ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“** პოპულარიზებისათვის (ხელმძღვანელი – ქალბატონი **ლალი**, რამაც თითქმის მთელი ქვემო ქართლი მოიცვა; კონფერენციები: **„საქართველოს მხარეები“, „აფხაზეთი საქართველოა“ (ნელი უკლება);** ათასწლეულის გამოწვევის ფონდის კონკურსი, ნასას პროექტი **„ახალგაზრდა გამომგონებლები (დალი ხარებაშვილი, რუსუდან აბაშიძე)**; **„ლოგიკური თამაშები“**, **„რა, სად, როდის“**; კონკურსი **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში“ (ხათუნა ნოზაძე);** ამ სკოლის აღზრდილის, სახელოვანი სპორტსმენის **გურამ გუგენიშვილის** სახელობის ტურნირი, სხვა მრავალი სპორტული ღონისძიება **(ეკატერინე ბერაძე, ეკა ბერაია);** პროექტი **„უფროსკლასელი, უმცროსი მეგობრის მხარდასაჭერად“;** პროექტი – **„დისკუსიისა და პრეზენტაციის ხელოვნება“ (მაია მეტრეველი, ნელი უკლება); „საქართველოს განვითარება და ჩემეული როლი“ (ნინო დარსალია);** პროექტი **„არა – ძალადობას“, „ოჯახური ძალადობა“**; კონკურსი – **„გავაცოცხლოთ ფიროსმანის ნახატები“ (ნინო დარსალია);** აღინიშნა **დაუნის** სინდრომის საერთაშორისო დღე **(რუსუდან აბაშიძე, ია მაისურაძე)**; კონფერენციები ბოლოგიის აქტუალურ თემებზე; 9 აპრილის ტრაგედიის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება; პროექტები: **„ყველაფერი შობის შესახებ“. „ყველაფერი აღდგომის შესახებ“;** ნორჩი მხატვრების გამოფენა **(ნატო ლაჩიშვილი);** პროექტი **„არტსკოლა“;** აქცია **„ვაჩუქოთ ერთმანეთს წიგნები“,** პროექტი **„სული ლექსით გვიდგას“;** კალიგრაფიის კონკურსი; **ახალგაზრდა ხელოვანი (ნატო ლაჩიშვილი);** ყოველწლიური ჰუმანიტარული აქციები **(ელენე ბიწაძე, რუსუდან აბაშიძე);** კინგსი, სმარტი, ევერესტი, ეროვნული ოლომპიადა...

ჩავუკვირდეთ: ყოველი შიდასასკოლო ღონისძიება, პროექტი თუ კონკურსი ცოდნის თვალსაწიერის, ყმაწვილების სულის გაფაქიზების, მათში პრაქტიკული უნარჩვევების გამოსამუშავებლად არის გამიზნული, ხოლო ყველა საქალაქო, რეგიონალურ თუ რესპუბლიკურ კონკურს-ღონისძიებაში სკოლა ან გამარჯვებულია, ანდა – პრიზიორი. მოსწავლეთა აღზრდა-განათლებაში მიღწეული წარმატებების მეტი სიცხადე ძნელი წარმოსადგენია.

სკოლა ასევე ასახელეს პიანისტებმა **ანა ბერიძემ** და **ნატალია გუგუტიშვილმა,** მათ რუსთავისა და ქვემო ქართლის კონკურსებში გაიმარჯვეს, იტალიაში გამართულ საერთაშორისო კონკურს (2017-2018 წწ.) **„მომავლის ვარსკვლავში“ კი მეორე ადგილები მოიპოვეს.**

ამ წერილმა მე-2 სჯარო სკოლის ძალზე მრავალმხრივი, ტევადი მუშაობის მცირედ წარმოჩენა შეძლო. იმედია, მომავალში ამას უფრო სრულად მოვახერხებთ, მაგრამ, რაც ითქვა, საკმარისზე მეტია იმის დასტურად, რომ სკოლა მთლიანად მოსწავლეებზეა ორიენტირებული. და რა კარგია, რომ რუსთავში გვაქვს ისეთი სკოლა, მე-2 საჯარო სკოლა რომაა.

კონსტანტინე გურგენიძე

**P. S.** ანდაზის – „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ“ – პერეფრაზით, მითხარი, რას ირჩევ და გეტყვი, როგორი ხარ შენ. სკოლამ „სამშობლოსმცოდნეობის“ საგანი შემოიღო. მას ამ წიგნის ავტორი, ბატონი **ლექსო გელიშვილი** ასწავლის.

ჩემი სტუმრობისას, სკოლაში პედაგოგ, ქალბატონ **მზია ხიხალაშვილის** ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა სპექტაკლი **„ქართული ენა – ლაზარე“.**

ხომ ცხადია, როგორი სული ტრიალებს მე-2 საჯარო სკოლაში?!

ხომ ცხადია, როგორი ძარღვი ფეთქავს ძალუმად?!

და გავმეორდები: ხომ კარგია, რომ რუსთავში გვაქვს ისეთი სკოლა, მე-2 საჯარო სკოლა რომაა?!



„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“

# კერძო სკოლა „ლამპარი“ – როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ



**მაცხოვარი** გვმოძღვრავს, ნუ მიელტვით მიწიერ საუნჯეთ, რადგან ჟანგი ან ჩრჩილი შეჭამს, ან ქურდი მოიპარავს. ზეციური საუნჯის მოსაპოვებლად ილტვოდეთ, რადგან, სადაც არის საუნჯე შენი, იქვეა გული შენიო...

კერძო სკოლა **„ლამპრის“** 45-ვე პედაგოგის – დირექტორი, ქალბატონი **დარეჯან ქადაგიძე** – საუნჯე სკოლაშივე, თითოეულ აღსაზრდელშია დაუნჯებული, რადგან, თუ, სტანისლავსკის თქმით, თეატრი საგარდეროობოდან იწყება, სკოლა პედაგოგით იწყება და პედაგოგითვე მთავრდება; რადგან **„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა.“** არა აქვს მნიშვნელობა თანამდებობას – დირექტორი, მოადგილე – რადგან ისინიც, უპირველესად, მასწავლებლები არიან, ვინაიდან მასწავლებლობა უდიდესი თანამდებობაა ქვეყნად, შინაგანი მდგომარეობა, მრწამსია – აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ გვძალგვიძისო. ესაა ლამპრელთა ანი და ჰოე.

ბიბლიით, სამშობლო იქიდან დაიწყო, საცა პირველი წინაპარი დაიმარხა. ამ საფლავმა მიაჯაჭვა იმ ადგილს ადამიანი და ლოცვად დააყუდა.

და იქიდან, ათადან-ბაბადან მოყოლებული, ყოველი ადამიანის ღვაწლი იმით ფასდებოდა, თუ რა მიიტანა მან სამშობლოს სამსხვერპლოზე, რა არგო ქვეყანასა და მოყვასს.

მაინცადამაინც ერის ჭეშმარიტად ზეპურ მამებს ნუ შევედრებით. მოღვაწე, მოღვაწეობა ძალზე ფართო და ტევადი ცნებებია და ყველა იმას გულისხმობს, ვინც ალალად ასრულებდა ღვთით დაკისრებულს და ოდითგანვე ასე რომ ყოფილიყო, ეგებ, აღარც დავითს დასჭირვებოდა აღმაშენებლობა, აღარც დემეტრეს – თავდადებულობა, აღარც გიორგის – ბრწყინვალეობა და აღარც ასიათასობით უსახელო უფლისციხელს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირვა.

დასტურად „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი“ მოვიხმოთ: „მოღვაწეობა – საზოგადო, საქვეყნო საქმისათვის გაწეული შრომა, მუშაობა, მოქმედება.“ ქვეყნისთვის კი ნებისმიერ ჩვენგანს ძალუმს ნებსმიერ ადგილზე იმუშაკოს, ოღონდ, საამისო ნება ჰქონდეს და თითო აგური მიიტანოს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავერზე.

და დამისახელეთ რომელია პედაგოგის ღვაწლზე აღმატებული საქვეყნო საქმისთვის გაწეული შრომა? დამისახელეთ, რომელია ქვეყნის აღმშენებლობის ბალავერზე მასწავლებლის მიერ მიტანილი აგურზე – ზნეკეთილ, მცოდნე თაობებზე – უმნიშვნელოვანესი და უმტკიცესი აგური?

და რაოდენ ახარებს ყოველი ჭეშმარიტი მასწავლებლის სულსა და გულს, როცა შეგირდი, მათი ღვაწლით, აჯობებს ოსტატს და მამულსაც ხომ უხარია, რომ „შვილი სჯობდეს მამასა.“

ისტორიის მამად ცხებული ჰეროდოტე წერდა, მამები უკმაყოფილონი არიან შვილებითო, ანუ აღზრდის, განათლების პრობ-





ლემა მარადჟამს აქტუალურია. მას ყავლი არ გასდის. აბსურდია, ძველი და ახალი განათლებაო. განათლების ცნება, მისი მიზნები უცვლელია – სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, მცოდნე, სამშობლოს მოყვარული თაობების აღზრდა. ეს ურთულესი და უსათუთესი რამაა. ამიტომაა დასანახი და დასაფასებელი განათლების დარგის ყოველი პროფესიონალი, მოწოდებით პედაგოგი. მათ მხრებზე დგას ზემოთ მოხმობილი სწორედ რომ ხელი-ხელსაგოგმანები მისია და სადაც ეს მისია გასიგრძეგანებული აქვთ, იქ ის სრულდება კიდეც.

ასეა კერძო სკოლა **„ლამპარში“.** პედაგოგთა შემოქმედებითი კოლექტივი განუხრელად ეძიებს და ჰპოვებს კიდეც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახალ-ახალი მიგნებებით შევსების გზებსა და საშუალებებს; მოსწავლეთა ინდივიდუალობების გათვალისწინებით ნერგავს სიახლეებს, რაც აქაურ მასწავლებელთა ხელწერაა. სწორედ ეს განაპირობებს პროგრსს.

ილიასეული თერგი გამახსენდა, მოძრაობა და მოძრაობაა, ჩემო თერგო, ცხოვრების არსისა და წინსვლის ნიშანსვეტიო.

მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული განვითარების სქემაში. ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ხშირად ტარდება ტრეინინგები მოწვეული ტრენერებით. პედაგოგები თანამშრომლობენ ელექტრონულ ჟურნალ **„მასწავლებელთან“.**

გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად და ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს ყველა საგნობრივი კათედრა. მათი მუშაობა ყველა პედაგოგს მოიცავს. შემუშავდა და ხორციელდება საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები, სახლედობრ: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინერება; ინტეგრირებული და თავისუფალი გაკვეთილების ჩატარება; პედაგოგთა პროფესიული სრულყოფის გზების დასახვა; წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.

სკოლის, პედაგოგის ღვაწლის, მუშაობის ავ-კარგიანობა ყურებით მოთრეული გამოცდებით კი არ უნდა ფასდებოდეს, არამედ შედეგით – მოსწავლეთა ცოდნით.

**„ლამპარი“** სწორედ ამით არის გამორჩეული. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ყოველ მოსწავლეს მოიცავს. პედაგოგებს თითოეულ მათგანამდე მიაქვთ



ცოდნა.

მაღალკვალიფიციური პედაგოგების მუშაობა, რომელთა 95 % უფროსი მასწავლებელია, შესაბამისად, მაღალი შედეგებითაც გამოირჩევა. სკოლა ამაყობს მედალოსანი კურსდამთავრებულებით, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე მაღალი რეიტინგი მოიპოვეს. 2012-2019 წლების მონაცემებით, სკოლას მრავალი ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი **(სალომე ქურდაზე, ნინო ცისკაძე, თინათინ მექვაბიშვილი, მარიამ ბუჯიაშვილი, ნინო გელდიაშვილი, ნინო ბეგიაშვილი, მარიამ ქათამაძე, ანა ცალუღელაშვილი, თამარ სიდამონიძე, ნელი პაპიაშვილი, ელენე ჯოხაძე, მარიამ რაზმაძე, ქეთევან ქვრივიშვილი, ვერიკო ლეთოდიანი, თეკლა ქუსიკაშვილი, ნინო სოზიაშვილი, ნინო დეკანოიძე, თამარ შეყილაძე, ქეთევან ალიაშვილი, სალომე აგურაშვილი, სალომე გობეჯიშვილი, ოთარ ფროდიაშვილი და ელენე მექვაბიშვილი).** ისინი უმაღლეს სასწავლებლებში 50-70-100 %-იანი გრანტით ჩაირიცხნენ. მათი მშობლები დღემდე გამოხატავენ მადლიერებას სკოლის მიმართ. ერთი-ერთი კურსდამთავრებულის, **ვერიკო ლეთოდიანის**, მშობელმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის განათლების სამინისტრო მაგისტრატურის კურსს ვერიკოს საზღვარგარეთ დაუფინანსებს.

გასულ წელს მასწავლებლებმა საინტერესო კვლევითი პროექტი განახორციელეს - **„მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება მარკირების მეთოდის გამოყენებით“** - აქედან გამომდინარე, დირექციამ დაწყებით კლასებში ახალი საგანი **„ვკითხულობთ ქართულს“**დანერგა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებას.

**„ლამპარი“** შემოქმედებით კონკურსებსა და ოლიმპიადებშიც აქტიურად მონაწილეობს.

**„ევერესტის“** 2019 წლის მათემატიკის გაზაფხულის სეზონზე მრავალმა მოსწავლემ ისახელა თავი. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სიგელების მფლობელები გახდნენ: **ნიკოლოზ ბერიშვილი, დემეტრე ქურდაძე, დაჩი ყანჩაველი, მარიამ ბაქრაძე, ეკენე შერაზადაშვილი, გიორგი მოდებაძე, ნიკოლოზ გვარიძიშვილი, ილია ჩაჩანიძე, სესილი შილაკაძე, გიორგი არევაძე, ლუკა ხიზანიშვილი, შალვა მოდებაძე, მარიამ გურგენიძე, სანდრო ხიდეშელი, ლაშა ზიბზიბაძე, გიორგი ტორუა, ანასტასია გორდეზიანი, ნიკოლოზ რუხაძე, ნიკოლოზ ჩუხრუკიძე.**

**„ევერესტის“** 2019 წლის ქართული ენის გაზაფხულის სეზონის მონაწილეებს: **ნიკოლოზ ტორონჯაძეს, ანდრია მიქაუტაძეს, ნიკოლოზ ჩუხრუკიძეს, ელენე კვირიკაშვილს, გიორგი გვარიძიშვილს, კესო გურეშიძეს, ტარიელ ჯანგულაშვილს, მარიამ ყურშავიშვილს, დემეტრე ქუდაძეს, ნუცა ჩხიტუნიძეს, ანა ბაბოიძესა** და **დეა სვანაძეს** სიგელები გადაეცათ.

**სესილი ჩაჩანიძე** გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებული ორი სხვადასხვა კონკუსის გამარჯვებულია. **„ლამპრის“** სამმა მოსწავლემ **ნატალია ლილუაშვილმა, სესილი ჩაჩანიძემ** და **მარიამ ბუნტურიძემ „ყველაზე წიგნიერის“** 2018-19 წლის საკონკურსო სეზონი მოიგეს (ნომინაცია **„აღწერე შენი საყვარელი პერსონაჟი“).**

სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა მოტიცავიის ასამაღლებლად და მათ მრავალგვარ კლასგარეშე აქტივობას სთავაზობს. თითოეული აქტივობა მოსწავლეთა გონებრივი, შემეცნებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისთვისაა მოწოდებული.

ხშირად იმართება სასწავლო-შემოქმეებითი ღონისძიებები, სპექტაკლები, ექსკურსიები, ვიზიტები მუზეუმებში; მუშაობს ლიტერატურული კლუბი **„ლამპარელები“,** რომელიც წელიწადში ერთხელ მოსწავლეთა შემოქმედებით ჟურნალ **„ლამპარელებს“** გამოსცემს.

სკოლას ხშირად სტუმრობენ ცნობილი ადამიანები (პოეტები, მწერლები, მუსიკოსები, სასულიერი პირები, სახელოვან ადამიანთა შთამომავლები, მსახობები და სხვ.). მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან მოწვეულთა შემოქმედებასა და ბიოგრაფიას, რაც ხელს უწყობთ მათთან ურთიერთობის, ცნობიერებისა და სააზროვნო უნარების განვითარებას.

**„ლამპარში“** წრეობრივი მუშაობაც მომდინარეობს. ხატვის, თანამედროვე ცეკვების, მხატვრული კითხვის, მეტყველების, ჭადრაკისა და სიმღერის დამატებითი გაკვეთილებით უამრავი ბავშვი სარგებლობს. მსურველები დღის გახანგრძლივებული ჯგუფში არიან.

**„ლამპარში“** შემოქმედებითი ნიჭითა და ნოვატორული

გაგრძელება მე-7 გვ.







„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“

მეექვსე გვერდიდან

# კერძო სკოლა „ლამპარი“ — როცა საქმეს პროფესიონალები აკეთებენ



იდეებით გამორჩეული ბავშვები სწავლობენ. სახელდობრ, ბევრი უფროსკლასელი თავის სათქმელს ესეებსა და ჩანახატებში ატევს, ზოგი არაჩვეულებრივი მხატვარია. **ემინ ალიევს** სკოლამ პირველი პერსონალური გამოფენა მოუწყო.

ხშირად იმართება საქველმოქმედო საღამოები, მოსწავლეები მოხუცთა და ბავშვთა თავშესაფრებს სტუმრობენ, ზრუნავენ უპატრონო ცხოველებზე.

სკოლის ძალისხმევა ჰარმონიული პიროვნების აღზრდისკენ არის მიმართული. პედაგოგებმა ასევე კარგად უწყიან, რომ თეორიული ცოდნა კარგია, მაგრამ თვალით დანახული, ხელშეხებული, შეგრძნებით აღქმული ცხოვლად აჩნდება სულსა და გულს. ამიტომაა, რომ ლამპრელები ყველგან არიან, სადაც ეროვნული სული ტრიალებს, ეროვნული ძარღვი ფეთქავს. აგერ, ერთ-ერთ ფოტოზე ყმაწვილები 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან არიან. ყმაწვილები სრული შეგნებით – ეს მათ სკოლამ ჩაუნერგა, ამით ზრდიან და აღვინებენ მათ – მიაგებენ პატივს მამულიშვილთა ხსოვნას; რწმუნდებიან, რომ გმირები მხოლოდ წარსულში არა




გვყოლია, არამედ, აი, სულ ახლახანაც შესწირვიან სამშობლოს ზვარაკად ძეგლთან, მემორიალთან მდგომი ყოველი მათგანის, მათი თანატოლების, სრულიად საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის. ყოველი წარმოთქმული ლექსი, წარმოდგენილი კომპოზიცია ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

ამაზე უკეთესი პატრიოტული აღზრდა ძნელად წარმოსადგენია.

ეს მით უფრო დასაფასებელია, როცა გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად, გველაძუურად გვირყვნიან მორალსა და ზნეობას. გავეშებულნი ებრძვიან ყოველივე



ეროვნულს. იმას, რითაც ერობს ყოველი ერი, რაც მხოლოდ მისია და რითაც განსხვავდება სხვათაგან.

სამიზნედ კი ყველაზე მოწყვლადი სამიზნე – ახალგაზრდობა, ბავშვები აირჩიეს, რადგან ერთხელ მრუდედ წასული ნერგის გასწორება ძალზე ძნელია, ხშირად კი – შეუძლებელი.

ამიტომაცაა დასანახი და დასაფასებელი „ლამპრის“ მთელი კოლექტივის ძალისხმევა ყმაწვილების ეროვნულ ნიადაგზე, ქართულ მენტალიტეტით აღსაზრდელად, რაც სულაც არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს სხვა ხალხთა კულტურების შეძლებისდაკვალობაზე შესწავლას.

ასეა: სადაც უნდა იყო, რასაც უნდა აკეთებდე, თუ ეს საშენო არ არის, მოგკიდებს უხილავ ხელს შენი ანგელოზი და სწორედ იმ ადგილზე, იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც მოგავლინა გამჩენმა ამქვეყნად. ზოგი იშნოვებს ამ მადლს, სხვანი – ვერა და ედებიან ღობე-ყორეს.

ოღონდ ეგაა, რაოდენ უხვადაც დააბერტყა უფალმა კალთა თვისი, რაოდენი ნიჭითაც მადლყო, იმდენადვე დაავალდებულა ეს წყალობა ქვეყნის, ხალხისთვის მოეხმარა.

კერძო სკოლა **„ლამპრის“** დირექტორს, ქალბატონ **დარეჯან ქადაგიძეს** მისმა ანგელოზმა დედაუნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოკიდა უჩინარი ხელი და განათლების სისტემაში განამწესა. იყო 181-ე სკოლის დირექტორი და შემდეგ, 2011 წლიდან – **„ლამპარი“.**

რამდენად სწორად დაადგინა მისმა ანგელოზმა ქალბატონი დარეჯანი, „ლამპრის“ მრავალი წარმატებიდან ამ წერილში წარმოჩენილიდანაც ცხადია, მაგრამ ხშირად „კადრს მიღმა“ გაცილებით მეტი რჩება ხოლმე და, იმედია, მომავალში სკოლის წარმატების უფრო სრულად გამომზეურების საშუალება მოგვეცემა. ახლა კი ქალბატონ დარეჯანს მოვუსმინოთ

**დარეჯან ქადაგიძე:** „პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი კვალიფიკაციის ამაღლების სქე-





მაში. სკოლაში ამ მიმართულებით მრავალი პროექტი ხორციელდება; ტარდება შიდა დაკვირვების გაკვეთილები, სხვა მრავალი ღონისძიება.

ჩვენთან ყოველივე კონტროლდება, ოღონდ ისე, რომ მასწავლებელს შემოქმედებითი თავისუფლება არ ეზღუდება: შიდა გამოცდები, ღია და თემატური გაკვეთილები. ყოველ შემაჯამებელ წერას შესატყვის კათედრასა და დირექციაში გამოწვლილვითი ანალიზი უძღვის წინ. ვადგენთ, რამდენად შეესატყვისება ის ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ასეთი სიახლე დავამკვიდრეთ: საერთაშორისო კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს მოსწავლეები, წაკითხულის ანალიზის უნარით ბოლო მესამე თუ მეოთხე ადგილზე არიან. ამ კატასტროფული ვითარების გამოსასწორებლად, დაწყებით კლასებში ახალი საგანი – „ვკითხულობთ ქართულს“ დავნერგეთ. ყმაწვილები კითხულობენ სხვადასხვა თხუზულებას, ცხადია, მათი ასაკობრივი და გონებრივი შესაძლებლობების, ინტერესების სრული გათვალისწინებით და, პედაგოგთა დახმარებით, აანალიზებენ მათ. შედეგები ერთობ სახარბიელოა.



მშობელთა მოთხოვნით, გავზარდეთ უცხო ენის შესწავლის საათები და სპორტისთვის გათვალისწინებული 3 საათიდან ერთი – თანამედროვე ცეკვების შესწავლას დავუთმეთ. ეს ძალზედ მოსწონთ მშობლებსაც და ბავშვებსაც.



სკოლას მუდმივი საქმიანი ურთიერთობა აქვს მშობლებთან – კოლექტიურიცა და ინდივიდუალურიც. გვაქვს ელექტრონული გვერდი „სქულბექი“. მისი მეშვეობით ინდივიდუალურად ვუკავშირდებით ყოველ მშობელს. მზად ვართ მათი აზრი, რეკომენდაციები მოვისმინოთ, ერთად ვიმსჯელოთ და მისაღები მივიღოთ კიდეც.

სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, კოლექტივის მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტი გაწეულ შრომაზე ნაკლები იქნება. ამიტომ ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მუდმივად განხლებადია. ამ სასწავლო წელსაც შევიძინეთ მრავალი თვალსაჩინოება, ახალი, თანამედროვე მერხები და სკამები, სპორული ინვენტარი, ლაბორატორიების აღიჭურვილობა; გარემონტდა სკოლის ინტერიერი; განუხრელად მდიდრდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

ვცდილობთ, პედაგოგებს მაქსიმალურად ოპტიმალურად სამუშაო პირობები შევუქმნათ, რაც სწავლების ხარისხის პირდაპირპროპორციულია.“



* * *



ხდება ხოლმე, აშკარად გრძნობ, სათქმელი ნათქვამზე მეტი დამრჩაო. ახლაც ასეა: კერძო სკოლა „ლამპრის“ ძალზე ტევად, მრავალმხრივ, მთლიანად მოსწავლეებზე ორიენტირებულ მუშაობაზე, რაზეც ადრეც წერდა ჩვენი გაზეთი, კიდევ ძალზე ბევრი სასიკეთოს თქმა შეიძლება, მაგრამ, ზემოთ აღვნიშნე, სამომავლოდაც გადავდოთ სათქმელიო, მით უფრო, რომ უმთავრესი, ვგონებ, გამოიკვეთა: კერძო სკოლა „ლამპარში“ ცოდნის, ზნეობრივ-მორალურ აღზრდის ლამპარი ბრიალებს და გზას უნათებს ყოველ აღსაზრდელს, ღირსეულლად გაჰყავს ცხოვრების გზაზე და მისი სითბო და სინათლე მათ ბოლომდე მიჰყვებათ.

კონსტანტინე ბურბენიძე





* * *

**ოზონის შრის დაცვისადმი მიძღვნილ ამ ესეს კომენტარი ნამდვილად არ სჭირდება. წაიკითხეთ 15 წლის გოგონას ეს ნაღვაწი და ამაში მყისიერად დარწმუნდებით.**

გაგრძელება მე-8 გვ.

„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“

მეშვიდე გვერდიდან

# „დაიცავი ოზონის შრე — დაიცავი სიცოცხლე დედამიწაზე“





მუსიკა ყველაზე ჰარმონიული რამაა სამყაროში. რუსთაველი თქმით, ავთანდილის ტკბილი სიმღერის გაგონებაზე თურმე, წყლიდან ქვებიც კი ამოსხდებოდნენ. ყველა ჟანრის მუსიკას ვუსმენ, თუმცა ერთი მუსიკოსის სახელმა ბევრი რამ შეცვალა ჩემს წარმოდგენაში სამყაროს შესახებ.

იმ დღეს სკოლიდან ადრე დავბრუნდი. რადიო სწორედ იმ დროს ჩავრთე, დიჯეი X მსმენელებს ოზი ოსბორნის „CLOSE MY EYES FORENER-ს” რომ სთავაზობდა. გავიგონე თუ არა, ამეკვიატა. კვიატი ვერ მოვიშორე და ამ სახელის წალმა—უკუღმა ტრიალში ოზონი წამომცდა! ახალგაცნობილ მუსიკოსსაც მოვუსმინე და კომპიუტერის კლავიატურაზე სიტყვიერი დამარცვლის თანხლებით მუსიკალურად ავკრიფე ო ზ ო ნ ი!

ოჰო, ვინ ყოფილა თურმე — ჭექა—ქუხილის ღმერთი! თავის თავზე აუღია დედამიწისა და მისი შვილების დაცვა! არა, არა, ასეთ რაინდს მტერი როგორ უნდა ჰყავდეს — მშიშარა ქლორი და ბრომი, დედამიწის ოკუპაციით დაინტერესებული მეზობელი მთავარსარდლები, რა მტრები არიან! გადავწყვიტე პირადად გამეცნო ოზონი. ძველ ინტერნეტფოტოებზე ძალიან სიმპატიური ჩანდა, ახალში კი ცოტა სახეგაცრეცილი და მკლავსიფრიფანა მომეჩვენა. გავიკითხ—გამოვიკითხე და, თურმე, მრავალი წელია დედამიწას მფარველობს. ხომ გაგიგონიათ გამოთქმა: „ცივ ნიავს არ აკარებსო“, ოზონი ზედმეტ მზის სხივსაც კი არ აკარებს დედამიწას. ეჰ, როგორც უნდა მოვინდომოთ, ბუნების კანონს ვერსად გავექცევით და ოზონიც ბერდება: თხელდება, მქრქალდება, იცრიცება, ჭკნება, თითქოს ზედმეტი მაკიაჟი გაუკეთესო, ისე შეწუხებულა. ისიც კი გავიფიქრე, ოზონის ხვრელს ხომ არ ეპრანჭება-მეთქი ცალმხრივად შეყვარებულივით. შევშფოთდი — თუ დაუძლურდება, ეს არც ჩვენთვის იქნება სიკეთის მომტანი, რადგან დედამიწას დაავადებები დაეპატრონება.

დავჯექი და ფიქრი დავიწყე — იქნებ, მრავალენოვანი ბლოგი შემექმნა, სადაც მხოლოდ ოზონის შრესთან დაკავშირებულ პრობლემებზე დავწერდი, პოსტერებს შევქმნიდი (მე ხომ ვხატავ კიდეც), ოზონის თემაზე შექმნილი პოეზიის საღამოს დავგეგმავდი, მერე კი მთელ მსოფლიოში გავავრცელებდი. გარემოსდამცველებსა და სხვა თანამოზრეებსაც შემოვიკრებდი. სხვათა შორის, მელომანებიც გვერდში დამიდგებოდნენ, რადგან PINK PLOYD-ის ალბომის Dark Side of the Moon-ის „ულტრაიისფერი“ ყდა ოზონის შრესთანაც ასოცირდება.















ოჰ, ეს ულტრაიისფერი (არადა ჩემი საყვარელი ფერია!)! ის ხომ კლავს! დიახ, კლავს ადამიანს, ცხოველს, მცენარეს ... კლავს სიცოცხლეს! არცერთ უჯრედს არ შეუძლია მზის მიერ გამოსხივებულ ულტრაიისფერში ცხოვრება. არადა, ჩვენ ვცოცხლობთ! რატომ? როგორ? როგორ და, ოზონის შრეს აქვს უნიკალური თვისება შთანთქოს და აირეკლოს „მკვლელი იისფერი“ და განაიარაღოს. ყველა დროის გმირივით მტვრიანი და სახეშეშუპებული ოზონი დაღლილი მიესვენება ცარგვალზე და ჩასთვლემს ... მხოლოდ ჩასთვლემს, რადგან დედამიწაზე აგრუხუნებული მაცივრების, აშხუილებული დეოდორანტებისა და აბუყბუყებული qfn-ების ხარხარი აფრთხობს.

საქმე სერიოზულადაა! თუ ადამიანი გონს არ მოეგება და ოზონის ისედაც „არამდგრადი“ ხასიათის გატეხას არ შეწყვეტს, შიმშილსა და ავადობას ყველა კუთხეში დავინახავთ ატუზულს.

ნწ, არა! ვინმე უნდა მომეძებნა, ვინც მე და ოზონს გვანუგეშებდა, თორემ უკვე ღამეებს ვტეხდი და ტყვინს ვიჭყლეტდი. ყურმილი ავიღე და გამოგონილი ნომერი ავკრიფე:

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— იცით, იქნებ რამე ისეთი მითხრათ, მე და ოზონი რომ დავმშვიდდეთ...

— ოზონიც? (ვიგრძენი, ხმას გაეღიმა, სიტყვებმა კი ყურმილაკში ჩაიჩხრიალა). მაშინ მომისმინე: „ოზონის შრის გადარჩენა პირდაპირ უკავშირდება ადამიანების არამავნებლურ ჩარევას ატმოსფეროს კანონზომიერებაში. ბიზნესმენების მიერ ამ საკითხების მნიშვნელობის გააზრება ოზონის შრეს თვითმყოფადობას შეუნარჩუნებს. ამასთან, 4 მნიშვნელოვანი რამ უნდა იცოდე, ჩემო პატარა, ადამიანის ცნობიერების ამაღლება, განათლების მდგრადი განვითარება, საერთაშორისო ვალდებულებების ეროვნულ დონეზე დანერგვა და მონრეალის ოქმის ამოქმედება ბევრი პრობლემის მოგვარების საწინდარი გახდება. საქართველოს მრავალი აქვს გასაკეთებელი ოზონის შრის დასაცავად და, მოდი, შენ იყავი პირველი, ვინც მასებს აიყოლიებს!

მე, გეოგრაფი მანანა რატიანი — შენი დიდი ქომაგი და მხარდამჭერი ვიქნები!“

— მადლობა, ქალბატონო მანანა! (დაიცა, დაიცა, ვინ ვარო? ვის ვესაუბრებოდი თურმე?)

— პირიქით. ოზონი და ადამიანები მადლიერნი დაგრჩებით!

იმ დღესვე დავწერე რამდენიმეპუნქტიანი გეგმა და შევქმენი ჩემი ბლოგი.

მოკლედ, გეგმა ასე იწყება: ოზონი, მე და მსოფლიოს პატარა გამომგონებლები, მუსიკოსები, სცენარისტები, ეკოლოგები, ცხოველთამოყვარულები, (დიდები? დიდები—ც?) ...

დანარჩენს გზადაგზა მოგახსენებთ!



სესილი ჩაჩანიძე,
სკოლა „ლამპრის“ X კლასის მოსწავლე

P.S. რედაქცია მადლობას უხდის კერძო სკოლა „ლამპრის დირექტორს დარეჯან ქადაგიძეს და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ია ჯღარკავას თანადგომისა და თანამშრომლობისათვის.

ნიჭიერთა დაკვალიანების ასპარეზი

# სახლი, სადაც შემოქმედება უმთავრესია





**მოსწავლე-ახალგაზრდობის** სახლი, ქართულ საგამნამანათლებლო სივრცეში ღირსეულ ადგილს იკავებს, სადაც მოსწავლეებს ხარისხიან განათლებას აძლევენ. აქ მუდამ შემოქმედებითი ატმოსფეროა და მუხლჩაუხრელად ზრუნავენ მოსწავლეების აღზრდასა და ცოდნის ამაღლებასზე. ამჯერად გაგაცნობთ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ჩუღურეთის ფილილის საქმიანობას, რომელსაც 1947 წლიდან ფუნქციონირებს და მრავალი ათეული წელია, მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. აქ სტუმრობისას დირექტორმა **ციცინო გოგოტიშვილმა**, საგულდაგულოდ დამათვალიერებინა სასწავლო ოთახები, კაბინტები და გამაცნო ბავშვთა შემოქმედება. შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე და წესრიგი, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. კეთილმოწყობილია სახელოსნო და სახელობო კაბინეტები. სასწავლებლის ფოიეს ამშვენებს საახალწლო ნაძვის ხე და მოსწავლეების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები, თუ ფერწერული ნამუშევრები.




მოსწავლეთა სახლში ამჟამად, 540 მოსწავლეა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა სასწავლო წრეებში. აქ ფუნქციონირებს 9 საგნობრივი, 6 სპორტული, ერთი სახელობო და 6 სახელოვნებო წრე. მოსწავლეები წარმატებას აღწევენ როგორც შემოქმედებით სფეროში, ასევე სპორტში, კერძოდ, ჭადრაკში. მოსწავლეებს საშუალება აქვთ დაეუფლონ სამეჯლისო ცეკვებსაც.

**ციცინო გოგოტიშვილი:** სასწავლებლის ძირითადი დანიშნულებაა მოსწავლეებისთვის დამატებითი განათლების მიღება, რაც მაღალ დონეზეა ჩუღურეთის ფილიალში და ამიტომაც მოთხოვნა დიდია. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მოსწავლეები უმეტესად, სოციალურად დაუცველთა ოჯახებიდან არიან და ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მათ ხელობა კარგად შეისწავლონ. ჩვენს პედაგოგებთან ერთად, ბავშვებს ხელობის დაუფლებაში ვეხმარებით და ხელნაკეთი ნამუშევრების რეალიზაციაშიც ხელს ვუწყობთ. მოსწავლეები შესანიშნავ ნივთებს ქმნიან, მუშაობენ **თექაზე, კერავენ, ქარგავენ, ქსოვენ, ხატავენ.**

მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს თეატრი **„დებიუტი“**, რომლის დამფუძნებელია **ნიკა საბაშვილი.** განსაკუთრებით ორიგინალურია თეატრის დიზაინი და დეკორაციები, რაც მოსწავლეთა შემოქმედებაა და მნახველების დიდ მოწონებასაც იმსახურებს.

ჩუღურეთის მოსწავლეთა სახლი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. დირექტორს მხარში უდგას სასწავლო ნაწილის გამგე **ეკა უსტიაშვილი,** რომელიც ბევრი საინტერესო პროექტის ავტორია. მათ შორის **„ძველი და ახალი თბილისი“.**




განსაკუთრებით შექებას იმსახურებს ხატვის პედაგოგი **ნელი არაბული,** რომელიც საოცარ ნამუშევრებს ქმნის და მოსწავლეებსაც აყვარებს ხელოვნებას. ასევე, დასაფასებელია **ლია ანიაშვილის** შრომაც, რომელიც **ქარგვას** და **თექის დამუშავებას** ასწავლის ბავშვებს. საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს მეცადინეობა ფრანგულ ენაში, სადაც 59 მოსწავლეა, პედაგოგი **ელისაბედ წამალაშვილი.**

დიდი წარმატებები აქვს საყოველთაოდ აღიარებულ ვოკალურ ანსამბლ - **„გვირილას’’**, რომლის ხელმძღვანელია **ერნა წიფურია**. ანსამბლი უკვე მრავალი წელია წარმატებით მოღვაწეობს, მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებში და კონკურსებში. საამაყო ფაქტია ის, რომ ანსამბლს ფილარმონიის წინ საკუთარი ვარსკვლავი გაუხსნეს.

სამომავლოდ, მოსწავლეთა სახლი კიდევ უფრო გაფართოვდება, აქ დაგეგმილია ტიხრული მინანქრის სახელოსნოს გახსნა, სადაც მოსწავლეები შეისწავლიან უძველეს **ტიხრულ მინანქარზე** მუშაობას. სახელოსნოსთვის 15 000 ლარს გადარიცხავს მეგობარი ორგანიზაცია - **„უკანასკნელ დღეთა წმიდა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდი“** საქართველოში. აღნიშნული ორგანიზაცია უკვე ხუთი წელია მხაში უდგას მოსწავლეთა სახლს, რომელმაც მრავალი ღონისიება განახორციელა, მოაწესრიგა საკლასო ოთახები, საჩუქრად გადასცა ლეპტოპები, ხატვისთვის საჭირო აღიჭურვილობა, მოლბერტები და სხვა აუცილებელი ინვენტარი.

ამ დღეებში, მოსწავლეთა სახლის ორგანიზებით, განახლებულ აღმაშენებელზე გაიმართა მოსწავლეთა ხელნაკეთი ნამუშევრების **გამოფენა-გაყიდვა**, რომელიც საქველმოქმედო ხასიათის იყო და შემოსული თანხა გადაეცემა ლეიკემიით დავადებულ ბავშვთა ფონდს.




ასევე დაგეგმილია, გამოყენებითი ხელოვნების წრის ხელმძღვანელის **ლიანა ანიაშვილის** მოსწავლთა ნამუშევრების გმოფნის გამართვა აშშ-ის ქალაქ ნიუიორკში, სადაც მიწვეულები არიან. მანამდე კი, მსგავსი ღონისძიება გაიმართება ბათუმში და ზუგდიდში. ქალბატონი ლიანა, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს ეპარქიებშიც აწყობს გამოფენა-გაყიდვებს, ასევე, ატარებს საქველმოქმედო მასტერ კლასებს.

მოსწავლეთა სახლი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. სამომავლოდ კი, გეგმავს სწავლის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, სიახლეების დანერგვას და საინტერესო ღონისძიებების გამართვას.

გილოცავთ წარმატების მომტან შობა-ახალ წელს!

მზია გოგოძე

83-ე ბაგა-ბაღში ზეიმი იქნება

# ცეროდენები „თოვლის პაპის" მოლოდინში



**დედაქალაქის** ბაგა-ბაღებში დიდი საახალწლო სამზადისი დასასრულს მიუახლოვდა. ამ მხრივ, არც 83-ე ბაგა-ბაღი **„ჭიამაია"** არის გამონაკლისი. აქ არაერთი სადღესასწაულო აქტივობაა დაგეგმილი. დიდი ხანია საახალწლო განწყობას უქმნიან პატარებს, სადაც ლამაზი დეკორაციებით, გაჩახჩახებული ნაძვის ხით, დეკორატიული თოვლის ბაბუის და საახალწლო მუსიკალური ჰიტების ფონზე ეგებებიან. ეს სასიამოვნო ატმოსფერო და დადებითი განწყობა ორმაგად მნიშვნელოვანია მაშინ, როცა გარეთ ამდენი ნეგატივია და უსიამოვნო ამბები ხდება.

ახალი წელი ხომ წელიწადში ერთხელ მოდის და უფროსების მოვალეობაა დაუვიწყარი დღეები ვაჩუქოთ პატარებს. აი, სწორედ ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი თბილისის 83-ე ბაგა-ბაღის დირექტორმა **ინგა ბებიამ**, რომელიც უკვე მეოთხე წელია წარმატებით უძღვება დაკისრებულ მოვალეობას. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელშეწყობით არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე განახორციელა, აბსოლუტურად შეცვალა შენობის ინფრასტრუქტურა. ამჟამად, ბაღში ეზოც მოწესრიგებულია და დამონტაჟებულია ატრაქციონები. ასევე, გარემონტებულია შენობის შიდა ინტერიერი, საბავშვო ოთახები, სამზარეულო, დარბაზი, დამონტაჟებულია უსაფრთხოების ბადეები და ა.შ. ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო, თანამედროვე ინვენტარით და მეთოდური ლიტერატურით.

ბაღის დირექტორი თავის მრავალრიცხოვან კოლექტივთან ერთად, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აღსაზრდელებს კომფორტული გარემო შეუქმნან. ქალბატონი ინგა პროფესიით ფილოლოგია, დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სოხუმის ფილიალი. დაცული აქვს დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი. ასევე, აქვს პედაგოგიური და ადმინისტრაციული მუშაობის თექვსმეტწლიანი გამოცდილება.





**ინგა ბებია:** 83-ე ბაგა-ბაღს 2016 წლიდან ჩავუდექი სათავეში და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მოვაწესრიგე. ჩვენ გვაქვს ფოტომასალა, სადაც ნათლად არის ასახული თუ რა იყო და ამჟამად, რა მდგომარეობაა. ახლა, ბაღს აქვს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა. დედაქალაქის მერის **კახი კალაძის**, ვაკის რაიონის გამგებლის **ნოდარ ტურძელაძის** და ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** ერთობლივი ძალისხმევით, აღსაზრდელებისთვის შექმნილია უსაფრთხო და კომფორტული გარემო. ეზო გალამაზდა, დაიგო ახალი ასფალტის საფარი, მოეწყო სათამაშო მოედნები შესაბამისი ატრაქციონებით და კაუჩუკის რბილი საფარით. ბაღი უსაფრთხოა და დაცული. აქ დამონტაჟებულია უსაფრთხოების ბადეები და აღჭურვილია იგი თანამედროვე სტანდარტის ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით. ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, ფუნქციონირებს ათი **სამღზრდელო**, ხოლო სამი **„სასკოლო მზაობის"** ჯგუფი.

აღსაზრდელებისთვის გემრიელ საკვებს ამზადებენ ბაღის მზარეულები და მენიუ გათვლილია აღსაზრდელების გემოვნებაზე, სადაც დაცულია ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა.

საგულისხმოა, რომ მულტიდისციპლინარული გუნდის თავდადებული მუშაობით და მაქსიმალური ხელშეწყობით ხდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელთა ინტეგრირება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ბაღს აქვს კეთილმოწყობილი დამატებითი რესურს ოთახი, სადაც საჭიროების შემთხვევაში გუნდი ინდივიდუალურად მუშაობს ასეთ აღსაზრდელებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის გადაწყვეტილებით, ბაგა-ბაღში შექმნილია საკონსულტაციო საბჭო, სადაც გაწევრიანებულია მშობლები. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ბაგა-ბაღის ღონისძიებებში.

ამჟამად, ბაგა-ბაღში ზეიმების პერიოდია. აღსაზრდელებისთვის ბაგა-ბაღების სააგენტომ საახალწლო ტკბილეული და საჩუქრები უკვე მოუმზადა, რომელსაც საზეიმო კონცერტზე, პატარებს **„თოვლის ბაბუა"** გადასცემს. დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავთ **„ჭიამაიას"** მესვეურებს და თითოეულ აღსაზრდელს.





ანანო სამელია

ლიტერატურული პალიტრა

# ვერო ვერულაშვილი - ორიგინალური ხმის პოეტი


ვერო ვერულაშვილი

**პოეტი, საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის წევრი. ინტერნეტ გვერდის საზოგადოება პოეზიელის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სადაც რეგულარულად შუქდება ამონარიდები თანამედროვე მწერალთა შემოქმედებიდან.**

**ქ-ონ ვეროს ახლახან მესამე შვილი შეეძინა, ვულოცავთ. შობა-ახალ წელსაც ვულოცავთ!**

***

**თმებზე** გაწვიმს, ოცნებები დაგიძველდა ქალბატონო!
სიყვარულის შენ რა იცი! ტრფობა შენთვის ზღაპარია,
ეს ცხოვრება გამოცდაა მშვენიერო ქალბატონო!
შენი სევდა მაგ ღიმილის და თვალების მაგვარია.
მეოცნებე ბავშვივით ხარ! ბედს არასდროს ეურჩები,
ძირს დაეშვი!ნახე ირგვლივ რამოდენა ნაგავია!
თბილი გული,გაგიტეხეს მშვეენიერო ქალბატონო!
მაგრამ მაინც იმის გჯერა, რომ სამყარო ამგვარია...
წადი, წადი, უნდა ვნახო, როგორ ივლი,
შენს ნაბიჯებს უკვე ვითვლი რა ხანია,
გულუბრყვილო მეჩვენები ქალბატონო,
მგონი ფიქრობ, რომ ცხოვრება ზღაპარია?!
გაიღვიძე, გაიღვიძე, ქალბატონო,
უკვე თავზე დაგათენდა რა ხანია!.

***

**რამდენი** გული გაიბზარა ხილვის ლოდინით,
რამდენის თმას დაათოვა თეთრად დროებამ,
შენზე ოცნებას რეალობად აქცევს უფალი,
ამდენი ცრემლი არ დარჩება ამაოებად.

უსიხარულოდ შრიალებენ ალბათ პალმები,
ზეცაც მწუხარედ გადმოჰყურებს გატანჯულ მიწას,
არაფერი სასიკეთო,არცა იმედი,
მაგრამ კვლავ ისმის ჩვენ დავბრუნდებით, შენ სახელს ვფიცავ.

მოგონება მოურჩენელ იარად რჩება,
ძვირფასი წლები დასამარდა ამ მანძილს მიღმა,
აფხაზეთო,შენი მხურვალე გულ მკერდი გვეწვის,
და ნატვრად გვრჩება ქართველთა სისხლით მორწყული მიწა.

სხვა რომ არ იყოს იმ გმირების სული გვეყოფა,
მშობლის ცრემლი არ დაცემია რომელთა საფლავს.
დავბრუნდებით და ღვთისმშობლის კალთის წყალობით,
კვლავ ავანთებთ სამშვიდობოდ კელაპტრებს ჩამქრალს..


გერმანე საზანოელი

**პოეტი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე, იმერეთის რეგიონში.**

***

**ნებიერა** ქალბატონო,
ესე როგორ დაუშვი,
ტრფობა ცაში აიტაცე,
მერე ხელი გაუშვი.
თითქოს მოჰკალ, თითქოს კვდება,
თითქოს, თითქოს , გადარჩა,
მტკივა მაგრამ, რომ ვიტირო,
ცრემლებიც კი არ დამრჩა !

***

**ღრუბლის** ქულასავით დავიცალე,
გულიც მარტოობამ გაიგულა,
შენთვის დავიპყარი ტრფობის ცა მე,
გჩუქნი საყვარელო თაიგულად!

***

**გვალვად** შერჩენია თვალებს მშრალი ცქერა,
სუნთქვას ასცდენია სუნთქვაც მშვიდი წამის,
როგორც ისტორიის ერთი მწვავე ერა
განმეორებაა თუნდაც დასაბამის..

სევდად ეფინება ტალღებს ოცნებისას,
დიდი იარა თან, სადღაც ეჩქარება,
მე იმ ბალახს ვგავარ, ბალახს , მოცელისას,
სიცოცხლე დაკარგული, ფესვს რომ ეჭიდება!

მოამზადა ზურაბ ქობალიამ

# „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“





**თელეთის** საჯარო სკოლის (დირექტორი **ნინო მერაბიშვილი**, კლასის დამრიგებელი **ირმა ასლამაზიშვილი**) მესამე კლასელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროექტში - **„კითხვის საათი საბავშვო მწერალ, ნათია აბულაძესთან**“. პროექტის მიზანი წიგნის პოპულარიზაცია და თანამედროვე საბავშვო ავტორებთან დაახლოება გახლდათ. შეხვედრა საინტერესოდ და ხალისიანად წარიმართა, ბავშვებმა მხატვრულად წაიკითხეს ლექსები, მოთხრობები, გაიხსენეს ანდაზები, გამოიცნეს გამოცანები. დაუსვეს კითხვები მწერალს. **„აბუს სახალისო ლოტოს**“ გამოყენებით ითამაშეს და გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ზოგიერთმა მოსწავლემ მწერლობაც კი გადაწყვიტა. ისინი კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ წიგნი საუკეთესო მეგობარია. კარგი სწავლით ყველაფერს მიაღწევენ.

ბოლოს ქალბატონმა ნათიამ თითოეული მოსწავლე საკუთარი წიგნებით დაასაჩუქრა. ძალიან საინტერესო გამოდგა პროექტში მშობელთა ჩართულობა. მათ მადლიერება გამოხატეს დამრიგებლის **ირმა ასლამაზიშვილის** მიმართ.

ამავე დღეს მესამეკლასელები ხელოვნების სასახლეს ესტუმრნენ. მოსწავლეები გაეცნენ სამუზეუმო ექსპონატებს, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, რათა დამოუკიდებლად აღიქვან თავიანთი ქვეყნის განვითარების ისტორიული და კულტურული გზა. დღის ბოლოს, შთაბეჭდილებებით აღსავსე მოსწავლეებმა და დედასავით თბილმა და მზრუნველმა დამრიგებელმა, **ირმა ასლამაზიშვილმა**, სხვადასხვა რესურსების გამოყენებით ერთობლივად დაამზადეს თოვლის ბაბუა.

ირმა მეგონია

# ორი ლექსი

## სამართალი უსამართლოდ?!

**წუხელ** ღამე არ გვეძინა არვის,
ყველამ თეთრად გავუთენეთ ლუკას.
იცით, ჯერაც არ შობილა სამართალი
უსამართლოდ, - ძველებს ასეც უთქვამთ.
მოძალადე ვერ იხარებს ვერსად,
სასუფეველს დაიმკვიდრებს უმალ,
მხოლოდ იგი პატიოსნად ივლის მეტად,
სასუფეველს დაიმკვიდრებს ლუკა.
მოძალადე რითი ვანუგეშო,
ცოცხლად ყოფნა თავადაც არ უჯობს.
აბა, მითხარ, უკვე ცოცხალ-ლეშო,
ყმაწვილკაცი როგორ არა გიჟობს.
მაგრამ შენა ვინა მოგცა ნება,
რომ შეზღუდო უფლებები მისი,
უკვე ყველგან „ამ ცხოვრების დედაც!“
სულში, გულში თუ ქუჩაში ისმის!
არ კითხულობთ თქვენ არაფერს, ალბათ,
არც კი ისმენთ პედაგოგთა რჩევას.
ეს ქვეყანა ვერ იქნება ლაღად,
თუ გონება, კვლავაც, ჩლუნგად რჩება.

## დირექტორი უგაზეთო?

**როცა** უფასოდ რიგდება
კარტოფილი თუ ხახვი,
გაზეთი ვილას რად უნდა,
მას არ კითხულობს ხალხი.
ძალათი ხომ ვერ აკითხებ,
თავს ვინ იწუხებს კითხვით,
გამოქანდ-გამოაკუთხებს,
სახლსა იშენებს ქვითკირს.
სულის ცხონება არვის სურს,
კუჭმაძღარი კი მღერის,
ეგეთი კუდაბზიკები
არ დაგვჭირდება მერმისს.
პედაგოგ-მასწავლებელი
ასწავლის წერა-კითხვას.
თუ თავად არა იკითხა,
მისი ნასწავლი ვინ თქვას?!
იქნება მივესათუთოთ
პედაგოგთ პედაგოგებს,
ბავშვთ წერა-კითხვა ვასწავლოთ
და დავეხმაროთ მშობლებს.

ზურაბ ქობალია

საახალწლო და პატრიოტული

# საბავშვოც და სადიდოც



*__იმდენი__ საბავშვო ლექსი გამოვაქვეყნეთ __ნაირა ნიჟარაძისა,__ რომ მკითხველს ჰგონია, იგი მხოლოდ ცეროდენების პოეტია. არადა, არც სადიდო ქმნილებებშიც არის სხვაზე ნაკლები. მამულისთვის თავდადება, მეგობრობა, ზღაპრული ბუნება, შრომისმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული... აი, მისი პოეტური პალიტრის თემატიკა.*

*საახალწლოდ გთავაზობთ რამდენიმეს.*

* * *

**ნაირა ნიჟარაძე**

### კვეტარის ასულს (ხათუნა თედიაშვილს)

**ეს** რა ქალღმერთი გვყოლია,
კვეტარში გამოწრთობილი,
კლდესავით მკვრივი, მამაცი,
ვით დეკა – კეთილშობილი.

ცრემლებით დაგიწერია
ემიგრანტს შენი ლექსები,
მეც ცრემლი მცვივა წერისას
და ისე გეალერსები.

ოთხი შვილი გყავს გულადი,
ოთხივე ლომის ბოკვერი
და საქართველო მზიანი
ხსნას სწორედ მათგან მოელის.

ავღანეთშიაც გაიჭრა,
იგი მსოფლიოს მოივლის,
ოღონდ დამყარდეს მშვიდობა,
ჯარისკაცის ვალს მოიხდის.

ოქროს მუზა ჰყავს მახლობლად,
თავის მოძღვრად და მეგობრად,
მშობლიურ მიწა-წყლისათვის
მუდამდღე ლოცვაც ეყოფა.

იმ სამშვიდობო მისიით,
ავღანეთში რომ იქნებით,
შავწვერულვაშა გმირებით
და უშიშარი ბიჭებით.

მავთულხლართებსაც გავარღვევთ
და დამშვიდდება ყოველი,
თავის მიწაზე გაივლის
ადამის ძე და ცხოველი.

თუ ცეცხლით მტრებმა წაგვართვეს
აფხაზეთი და ოსეთი,
სიყვარულით და ერთობით
არსად არ წავა არცერთი.

მეგობრობით და მინდობით,
კვლავ, გაიდება ხიდები
და საქართველო აღსდგება,
ისევ, იმ ძველი დიდებით!

### ფარნავაზ მეფე

***ფარნავას მეფე – მწიგნობარმა, მე-3 საუკუნეში ქართული ანბანი სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადა.***

**იყო** მეფე ფარნავაზი,
მწიგნობარი, ალალი,
სახელმწიფოს არგუნა
ეს ქართული ანბანი.

სიყვარულით ვსუნთქავდით,
გვქონდა ერთი ქვეყანა,
ღამე აღარ ეძინა,
ქართველს რომ გაეხარა.

მუდამ გვქონდეს ლამაზი
ეს ქართული ანბანი,
არასდროს შეგვეშინდეს
ავი მტრის და სატანის!

### ლამარა სულთანიშვილს

***გამომცემლობა „ნაკადულის“ მწიგნობარს***

**როცა** მკითხავენ – ვინ იყო იგი?
– ის იყო ნაზი ქართველი ქალი,
კეთილშობილი და უწყინარი,
ბოროტებისგან თავისუფალი.
უყვარდა ბავშვი, უყვარდა ხალხი,
ქართული ჩვენი ტრადიციები,
ოჯახი მტკიცე, დიდი, მთლიანი,
იყო ალალი და ღვთისნიერი.
წიგნი უყვარდა, ჩვენი ქვეყანა,
ბუნება, დღენი ნათელ-მზიანი,
ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ქალი,
კეთილშობილი ადამიანი!

### მამაცი ქალი მფრინავი

***/ს. ახვლედიანს/***

**რა** გამბედავი ყოფილხარ,
მსოფლიო შემოიარე,
მოგწონს ფრთამალი ბოინგი,
ცას ფიქრი გაუზიარე.

იტალიაშიც იყავი,
ნახე რომი და ვერსალი,
ქართველი ქალი ეს არის,
ყველგან სიკეთის მთესავი.

არც ნიავქარი გაფრთხობდა,
არც უცხო ზეცის ცისკარი,
ამერიკაშიც გაფრინდი,
მუდამ მამაცი იყავი.

შვილიც დატოვე, არ დარდობ,
სხვები გიზრდიან ძვირფასად,
უყვარს წიგნი და ფეხბურთი,
ასეთი ბიჭი ვინ ნახა!

ჩამოდი, მალე ჩამოდი,
სამშობლო გიყვარს, გამოტყდი,
როგორც ჭიკჭიკა მერცხალი
დიდ ბოინგიდან ჩამოხტი!

### ბომბორა და ფომფორა

**ბომბორიკა** ლეკვია
შავზე შავი ნაგაზი,
კარაკულის ბეწვი აქვს,
წკრიალა და ლამაზი.

– გამარჯობა, ფომფორა! –
თეთრ კატუნას ეძახის,
მოდი, გავითამაშოთ,
მეგობარი იყავი.

ნახშირივით შავი ხარ,
ძაღლი ხარ თუ ყვავი ხარ?
გული მოგდის ხანდახან,
რა ძალიან ავი ხარ.

– მეგობრობა თუ იცი,
არ დამიყეფ არასდროს,
მაშინ, ჩემო, შავტუხავ,
მოდი და ვითამაშოთ.

## გასწორება

**ჩვენი** გაზეთის წინა ნომერში (№15(4590), 11 დეკემბერი, 2019 წ), მე-6 გვერდზე, **თემურ ხუციშვილის** ლექსში **„ანბანის არმური“** ტექნიკური მიზეზით გაიპარა შეცდომა: „ცას ციმციმებენ ცდომილნი“-ის მერე გამორჩენილია ორი სტრიქონი:

**ძ**ირს **ძ**ალი **ძ**ეთა **ძ**ისაო,
**წ**ყალნი **წ**ავლენო, **წ**ამოვლენ,
შემდეგ როგორც ტექსტშია.

**რედაქცია ბოდიშს უხდის, როგორც მკითხველს, ასევე ავტორს.**

თვალსაზრისი

## პედაგოგიკის თუ განათლების დოქტორი?

უცხოური ტერმინოლოგია მეტად მოგვეძალა. ზოგჯერ მიბაძვით ენობრივად არცთუ ისე გამართულ ლექსიკურ ერთეულს ავიტაცებთ ხოლმე. ამ საუკუნის დასაწყისიდან **„ინოვაციის“** ხმარება მოდად იქცა. ლექსიკონში კი ვერ ვიპოვეთ მისი განმარტება. **„ნოვაცია“** კი, ბატონო! ლათინური წარმოშობისაა და **სიახლეს** ნიშნავს. **„ნოვატორი“** და არა **„ინოვატორი“**. ვერ ვხვდებით, რა ფუნქცია აკისრია თავსართ **„ი“**-ს. იქნებ ენათმეცნიერებმა გაგვიმარტონ.

დიდი ხანი არ არის, რაც **„პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი“ „განათლების მეცნიერებათა დოქტორმა“** შეცვალა. ჩვენი აზრით, უფრო სწორია პირველი. რატომ? პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების საგანი მხოლოდ განათლება არ არის. ეს დარგი იერთებს სწავლების მეთოდიკას და აღზრდას.

ველოდებით სპეციალისტების გამოხმაურებას.

რედაქტორი

უწყინარი რეპლიკა

## დირექტორს პედაგოგთა გაზეთი გასაყიდი რაღაც ნივთი ჰგონია

**მალე** გაზეთი „სახალხო განათლება“ 100 წლისა გახდება. იგი მუდამ იყო, არის და იქნება განათლების სისტემის მუშაკთა ღვაწლის დამფასებელი და მემატიანე. გვინდოდა, საახალწლოდ მცხეთის რაიონის მუხრანის სახელოვანი საჯარო სკოლის ცხოვრება, ძლიერი, ღვაწლმოსილი პედაგოგების საქმიანობა და მიღწევები გაგვეშუქებინა, მითუმეტეს, მათ განათლების სამინისტროს სიახლეებსა და ინიციატივებს ჩინებული სტარტით უპასუხეს.

აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენს შეთავაზებას სკოლის დირექტორი **სოფიო კუბლაშვილი**, რაღა სჯობს, თუ ასეთ საქმეს იზამთო.

მორიდებით შევაპარე: რედაქციას ფინანსურად უჭირს და მასწავლებლები თითო გაზეთს (1 ლარი) თუ შეიძენდნენ, კარგი იქნებოდა.

– რაო. ყველაფერი ფულზე იყიდებაო?! – იკივლა, ისე აღშფოთდა, როგორც ამერიკელები შეშფოთდებიან ხოლმე რუსების ქცევაზე, – როგორ?! მე აქ, მასწავლებლებში რამე უნდა გავყიდო?! – ისეთი ტონით მითხრა, თითქოს არა პედაგოგთა პროფესიული გაზეთის შეძენას, არამედ სკოლაში შემოტანილი კარტოფილის გასაღებას ვავალებდი. მინდოდა მეთქვა: „პირიქით, დირექტორი თავის პედაგოგებს დაოსტატების, პროფესიული არსენალის გამდიდრების მიზნით, პედაგოგიურ-მეთოდიკური ლიტერატურის, მოწინავე გამოცდილების გაცნობას უნდა ურჩევდეს-მეთქი. **ამ ამოცანას მხოლოდ ინტერნეტი ვერ შეასრულებს-მეთქი**, მაგრამ უმალ ენას კბილი დავაჭირე, შემეშინდა, ისტერიკაში არ ჩავარდნილიყო.

უარის თქმასაც ხომ თავისებური ტაქტიკა და ეთიკა სჭირდება. მაინც, უფრო ცუდი ის არის, რომ ნომერ პირველ პედაგოგს (დირექტორს ასე ეძახიან), ისიც ფილოლოგს, **იაკობ გოგებაშვილის** მოძღვრებაზე დაფუძნებული საქართველოს მასწავლებელთა გაზეთი, ბაზრობაზე გასაყიდი რაღაც ნივთი რომ ჰგონია.

ქალბატონო სოფიკო:
„იქნება რამე გეწყინა,
იქნება რამე წამომცდა.
კი აღარ მძულხართ, რა იყო,
სიმართლე გითხარ, რა მოხდა?“

იქვე იკითხეთ, ჩვენ არაფერი გვეწყინა? იაკობ გოგებაშვილის დაფუძნებული გაზეთის აბუჩად აგდებას არავის ვაპატიებთ.

მოსე მღერალი,
**დამსახურებული პედაგოგი**

„არდავიწყება მოყვრისა...“

## მიმოზა ჩიქოვანი-ტაბაღუას მოსაგონარი

უკვე მერამდენედ შეგვახსენა თავი სიკვდილმა. ამჯერად მიმოზა, ჩვენი მიმოზა გამოგვტაცა ხელიდან. მართალია, ამ წასვლას მოულოდნელს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ



მაინც ბჟუტავდა მაშინ გულში იმედი: იქნებ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს და კვლავ ღიმილიანი, მხიარული, ბობოქარი, ხუმარა და ხმაურიანი დაგვიბრუნდესო... ახლა კი შენ დაგვტოვე, მთელი წელია გლოვობს მე-60 საჯარო სკოლა. თვალცრემლიანი გიხსენებენ შენი გაზრდილები, სინანულით თავს ხრიან, ერთმანეთს თვალს არიდებენ, რადგან შენი წარსულში ხსენება უჭირთ.

გული გვტკივა, გვტკივა, რომ გვაკლიხარ საყვარელო მასწავლებელო, კარგო ადამიანო, თბილო მეგობარო, საუკეთესო მეუღლევ, დედავ და მეზობელო.

ყველა წუხს და დარდობს უშენობას, „დაე, მსუბუქი იყოს შენთვის საქართველოს მიწა.“ არ დაგივიწყებთ!

ქალაქ თბილისის მე-60 საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N16 (4591)
25დეკემბერი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113